

შინაური

# საქოთი

ყოველ-კვირაული გაზეთი

№ 23.

ვასი ერთი შაური

დღიური ვასი + გან.

წელიწადი მეხუთე.

პვითა, 5 თებერვალი 1912 წელი.

**შინაური:** 1) ნინობა წრეული; 2) წმ. ნინო და მისი მნიშვნელობა. ა) სიტყვა ებ. ლეონიძისა ბ) სიტყვა მღვ. მ. კელენჯერიძისა; 3) ბერის დღიურიდან: ა) ულვოვება, ბ) სინილის—ა. ბერისა; 4) იოანე ნათლის მცემელი და მისი მინანულის ქადაგება იორდნეს უდაბნოში—მღ. დ—ტი ჩხაიძისა; 5) სამღვდელოების საყურადღებო; 6) რედაქციისაგან; 7) კვირიდან-კვირამდე; 8) ას ამბობენ მოსკოველი. კანონისტები ეპ. გერმოგენის საქმის შესახებ? 9) ცოტა რამ ჩვენი სამღვდელოების ცხოვრებიდან—სოფლის ხუცისა; 10) რას გვწერენ?—მოკეთესი.

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლის 8 თებერვალი

(ყოველ-კვირაული გაზეთ)

# შინაურ საქოთი.

გაზეთის ვასი:

წლიური — 4 მანეთი შემდგან.  
ნებეჭრი წლით 2 მანეთი.

სამი თვით — 1 მანეთი,  
ერთი თვით — 2 ბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიურ ხელის მომწერთათვის შეიძლება ასე განაწილდეს: თავიდგან 2 მანეთი და 1 ივნისს 2 მანეთი.  
გთხადების ფასი წინა გვერდზე 3 ტირით სტრიქონი თრი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

## ნინობა წრეულს.

ნინობის დღესასწაულს თანდისთან მეტი  
ინტერესით ეპყრობა ქართველი საზოგადოება.  
14 იანვარი თანდისთან მეტ უურადღებას იზი-  
დავს. ქართველი ხალხი, დარცხვენილი თავის  
დაუდევრობით, თანდათან იღვიძებს და ხელს  
უპოტინებს წარსული დიდების მოგონებას და  
თვის გმირების პატივისცემით იმსკვალება, რაც  
უტყუარი ნიშანია მისი ეროვნული გამოლიდე-  
ბისა. სამწუხაროთ ბევრი ხელს უშლის ხალხის  
ასეთ ლტოლვას თავის უკიდურეს კასმოპოლი-  
ტურ შეხედულობით, მაგრამ ამან არ უნდა შე-  
გვაშინოს, რადგან ყოველივე სიკეთო თუმცა გვი-  
ან, მაგრამ მაინც გამოიდებს შესატერ კეთილ  
ნაყოფს. ვინც საქმის ვითარებას დაჰკვირვებია,  
ამ რამდენიმე წლის წინათ ნინოს დღესასწაუ-  
ლი სრულებით ხსნებაში არ იყო იმერეთში და  
გურია-სამეგრელოში, და მგონი, არც ქართლში.  
ეს დღე შხოლოდ თფილისში იკოდენ და, შეი-  
ძლება, კახეთში, ბოდის მონასტერში. დღეს  
სულ სხვას გხედავთ, დღეს ბევრგან ეს დღე სა-  
დღესასწაულო დღე შეიქნა. და ამისთვის საქა-  
რო ამ შექმნილი პროპაგანდისტთა გუნდი, მხო-  
ლოდ ერთი მღვდელმთავრის დარწმუნებულმა,  
ბეჭითმა მწყემსომთავრულმა სიტყვამ და ქადა-  
გებამ აღადგინა ეს დღესასწაული სუვარულის  
და ძმბის დასაბამისა, ეს დღესასწაული ეროვ-  
ნული თვითურნობიერების საძირკვლის გასკენი-  
სა. ეს მღვდელმთავარი გახლავთ ყოვლადსამღვ-  
დელო ლეონიდე, რისოვისაც ჩენი ერთ არ და-  
ივიწუებს მას. იყო დრო, როცა მისი მეუფებებიც  
სასოწარკვეთილი იყო ამ დღესასწაულის შესა-  
ხებ, ეს სასოწარკვეთილება მაშინ უფრო გაუ-  
რჩევდა მას, როცა სამოსწავლო ოლქის უფ-  
რობმა პისუხიც არ გასცა მის ტელეგრამით  
თხოვნაზე შესხებ ნინობის დღესასწაულობი-  
სა ფირთის დაბალ და საშეალო სასწავლებლებ-  
ში. დღეს კი თითქმის მართველობამც შეიგნო-  
თავის დანაშაული და ქართველთა განმანათლე-  
ბელის ნინოს დღე საერთო საერთო სადღესა-  
სწაულო დღეთ გახადა მოელ გადმორმა კავკ-  
ასიში.

როგორც გავიგეთ ბევრგან სოფლებში დი-  
დი ამბით უდღესასწაულნით ეს დღე და შესა-  
ფერი სიტყვებიც წარმოუთქვამსო მღვდლებს.

თფილისის სიონის ტაძრში, სადაც დღე-  
საც, სამარცხვინდ და სამხილებლად ურწმუნო-  
თა, ისვენია ვაზის ჯვარი, ლვოისმშობლისგან  
მიღდენილი ნინოსადმი და მისი (ნინოს) თმით  
ვე შეკრული, ღამისთვევით ლოცვა და დაუჯდო-  
მელი გაღუბდათ მისი მ. კ. უსამღვდელოების  
ექსარხოსის თანამწირველობით. მეორე  
დღეს მწირველი ბრძანებულა მისი მეუფება,  
ეპისკოპოსი ალავერდისა, დავითი, რომელსაც,  
როგორც გავიგეთ, გრძნობით საეს და ისარი-  
ვით მახვილი სიტყვა წარმოუთქვამს.\* ) საზოგა-  
დოება ურიცხვი დასწრებია, როგორც ღამის-  
თვევით ლოცვას, ისე წირვასაც.

ქუთაისში ეს დღესასწაული წმ. ნინოს ქალ-  
თა სასწავლებელში გადიხადეს; სადაც მწირვე-  
ლი ბრძანებოდა მისი მეუფება ყოვლადსამღვ-  
დელო გორგო, ხოლო თვით სობოროში შე-  
სანიშნავი არა მომხდარა რა მის გარდა, რომ  
ხალხი წირვას ბლომათ დაესწრო.

განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა ამ დღე-  
სასწაულს ფოთში. წინაღლიდანვე მისმა მეუფე-  
ბამ ღამისთვევით ლოცვა შეასრულა პურის კურთ-  
ხევით და დაუჯდომელით. მეორე დღეს შეასრუ-  
ლა წირვა, რომელზედაც ნინობის და წმ. ნინოს  
მნიშვნელობაზე სიტყვა წარმოსთქვა თვით მის-  
მა მეუფებამ და მღვდელმა მ. მ. კელენჯერიძემ\*\* )  
ხოლო საღამოს ახალგაზღვობამ ნინოს საღამო  
გამართა, რომელსაც, სამწუხაროთ უნდა  
ვსთქვათ, მხოლოდ ნინოს სახელი ერქვა.

ამის შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ  
ნინობას მევიღრი საძირკველი ჩაედგა, უნდა  
ვიფიქროთ, რომ ამ დღეს აღარ დაივიწყებს სა-  
ქართველოს ერთ და ყოველთვის ლოცვა-კურთ-  
ხევით მოისენიებს თავის განმანათლებელს, თა-  
ვის ეროვნულ სულის ჩამდგმელს მოციქულთ  
სწორს ქალწულ ნინოს. იმედი უნდა ვიქონი-

\* ) იმედია ამ სიტყვას მალე მიიღებს „შინ. საქ.“  
რედაქტირ დასატექით.

\*\*) ეს სიტყვები აქვთ იმედებება.

ოთ, რომ სამღვდელოება ეცდება, რომ ხალხმა დაახლოებით გაიცნოს მისი განმანათლებელი, მისი სამოთხის კარების გამღები, მისი ქრისტესთან, ღმერთთან დამაკავშირებელი მოციქული და მისი მოსიყვარულე დედა. ურიგო არ იქნება აქ მოთავსებულ წერილს და სიტყვებს მღვდლები ეხლავე წაუკითხავდნენ ხალხს რომელიმე კვირა-უქმე დღეს და ჩვენ შევვატყობინებდნენ გაზეთში გამოსაცხადებლათ, თუ რა გავლენა იქნია მა კითხვამ ხალხზე. ურიგო არ იქნება აგრეთვე დაგვავალებდნენ, რომ ყოველივე რაც თქმულა და დაწერილა წმ. ნინოზე შევკრიბოთ და გამოვცეთ ხალხისთვის სიკითხავთ. ჯერ კი, ლვითის შეწევნით, ამის თაობაზე რედაქტირ ყოვლადსამღვდლო ლეონიდის სამსიტყვის და მ. მ. კელენჯერიძის აქ მოთავსებულ სიტყვას გამოსცემს ცალკე წიგნაკებათ. იმედის სამღვდელოება ეკლესიების საფასით ან სხვა რაიმე საშუალებით გამოიწერს ამ წიგნაკებს ხალხში დასარიგებლათ. მალე ცალკე წიგნაკებათ გამოვა იფრეთვე ცხოვრება ქართველთა კეშმარიტი დედის ნინოსი.

## მ. 606 მ

მოციქულთა სწორი და ქართველთ განმანათლებელი.

(მისი მნიშვნელობა)

სიტყვა, თქმული მღვდ. მ. კელენჯერიძის მიერ 14-ს იანვარს ფოთის საკრებულო ტაძარში.

დღეს ქართველი ერის განახლების, მეორედ შობის დღეა. დღეს იგი დღესასწაულობს თავისი განმანათლებელის, წმ. ნინოს სენებას.

წმ. ნინოს სახელის სენებისთან ყოველ ქართველს უწებურიდ იფონდება ძველი დრო საქართველოს მეოთხე საუკუნემდი, დრო მნელი, დრო წარმართობისა, დრო კაცო კამიობისა (კანიბალოზი), დრო, როცა ქართველი ერი ჯერ ქრისტეს არ იცნობდა და მის ნაცელად ის ერთგული ემსახურებოდა თავის კურიებს და მომნებს; ბოჩის, ორბასს, გაც

და გაიმს და როგორ ემსახურებოდა? თავისსავე შვილებს უკლავდა და სწირავდა მათ მსხვერპლად.

წმ. ნინოს სენებაზე ქართველს იფონდება ის დროც, დრო ნეტარი, დრო ბეღნიერი, როცა ნორის ქალწული ნინო ჯვარით ხელში მოდიოდა მცირე აზის ტუე-ველზე—შეუბოკალ, უშიშრად, გადმოლახავდა ბორცვებს, მთებს, ტბებს, მდინარეებს, ზღვებს, რომ მცხოვრაში, რომელიც იყო მაშინ სატატო ქალაქი, მოესწორ კერპის არმაზის დიდი დღესასწაულისათვის 6 აგვისტოს და თავისი სასწაულები ეჩვენებია აქ შეკრებილი საღლესასწაულოდ ერისათვის.

რამ გააბედვინა სუსტს, გამოუცდელ ქალწულს მარტო მგზავრობა იმ ადგილებში, სადაც მას ცივ სამარეს უშანდებდა გააფორმებული მხეცები და სადაც თვით რომის უძლეველ ლეგიონებსაც კი არა ერთხელ აბნევიათ გზა-კვალი და ჩავარდნილან ხიფათში?! ეს მნეობა მისუა მას ქრისტეს სარწმუნოებამ, თავისი დიდი დანიშულების რწმენამ და სიყვარულმა მონათესავე, მაგრამ მნელში მსხდომი ქართველი ერისადმი. მან კარგად იურდა, რომ არც ერთი საქმე და ლვაწლი არ დაღვამდა მას თავზე ისეთს გერგევის და არ მოჰყენდა მისს სახელს შარავანდელით ისე, როგორც მოქავა და სულიერად ხსნა მოელი ერისა.

დიალ, დიადი იყო გზა ნინოსი. ამ' გზით უყველსა ქვეყანასა განხდა ხმა მისი და კიდეთა სოცელისათა სიტყვისი მისნი", ნინომ გმირულად გადმოლახა მოები, სძლია ყოველგვარ ფიზიკურ დაბრკოლების, მოვიდა მცხოვას, მხერვალი ლოცვით დამხმა ბომონნი, მათი ნაგრევებზე აღმართა ჯვარი ქრისტესი, მოქურა სახლობა მირიან მეფისა და მოელი ქართლი, მოვლო შორეული კახეთი და მოიულეთი, აათო უკელვინ ლამპარი ქრისტიანობისა და საუკუნოდ განისვენა კახეთშივე სოფ. ბოდბეში, ხადაკ მის საფლავზე შემდეგ იგებულ იქმნი დიდებული ტაძარი.

ამიტომაცა ის, რომ დღეს საქართველოს უყველ ეკლესიაში გვესმის: „სიტყვისა

ლვთისა მსახურთა თანა მოსიგრე“, „მოციქულთა სწორი“, „ქართველთ განმანითლებელი“, „სულისა წმიდისა ქნარი ნინო“... გესმის ეს ყოველი და შენს სულში უნებურად იწყებენ რევას ფიქრი და აზრი არა ქვეყნისურნი, და უანგარიშმო გაიძინი, კვითხები შენს თავს: „რა სახარბილო ბედი ეწვია სუსტ ქალწულს, რომ გათა სწორი მოციქულთა და „განმანათლებელი ქართველთა“! რა შედინირება ეწვია ქართველ ერსაც, რომ ათასს, ცივილიზაციით შემოსილს, გაბრწყინვებულს ერებს, იმ ერებს, რომელნიც ყოფილია სასწაული ისტორიისა, აუხვით გვერდი წმ. ნინომ და აღირჩია თავის წილად, თავის ყანად მხოლოდ ქართველი ერი და შეექმნა მას „ნათელად სოფლისა“ და „მარილად (ქვეყანისა?) მიწისა“! დიალ, „ნათელად“ და „მარილად“! მან ამუნო მას ახალი მოძღვრება, დასაბამი ახალის ცივილიზაციისა, ზნებრივი განახლებისა, სწავლა, განმაციფრებელი ძელთა ფილოსოფისთა და „ბრძნთა ამა სოფლისათა“! რა მოძღვრება ეს მოძღვრება? ეს არს სიტყვა სიყვარულისა, რომელსა შინა არს, მთელი კანონი და წინასწარმეტყველნი“, ეს არს თვით ღვთავება, ეს არს სიტყვა ერთობისა და თავისუფლებისა! ნინომ ჩამოხსნა ქართველ ერს ჭველი ქრექი ბარბაროსული, უშინაარსო და სულთამხუთავი ცხოვრებისა და ნაცელად მისა შემოსა მას ახალი ფორმები განხლებული ცხოვრებისა.

მაგრამ ქართველმა ერმაც დაუმტკიცა წმ. ნინოს, რომ იგი, ქართველი ერი. სულითა და გულით არ კვითხნოდა იმ ჭველ ცხოვრებას, მისი სული სულ სხვას ეძებდა და არ კა მაღლე მოუხვეუნ ერთმანერთს გულის პასუხს მოძღვარონაფე! შეხდეთ, როგორ ხმა მოუღებლად, უბრძოლველად, უმრად დაემორჩილა. ერთ ახალ სიტყვას ქალწულისას და განუღო მას გულის კარი!, სიკირუელია, მაღლიანი ნიადაგი ჰპოვა ახალშა მოძერებამ ქართველის გულში! მას სრულიადც არ ეფუძვა, არ ეხამუშა, არ გუვეურდა ახეთი მოულოდნელი გარდაქმნა მისი სოციალური ცხოვრებისა, მისი მოქალაქობის დანგრევისა, მამა პაპთა ტრა-

დიციების შელახვისა! მან სისხლით როდი შეღება ბრძოლის ველი, მან უცებ აიღო აღლო და შეუდგა ახალ გზას! მან იცნო ახალი სხივი, აღმოსავლეთიდან, ბეოლემიდან გამონაშუქი, იცნო „ლერთო უცნობი“, მის გონებას ერთაშემთ წარმოუდგა საუცხოო სურათი მომავალისა, წარმტაცი პერსპექტივა ახალი ცხოვრებისა და მიეცა სულიერ სიმშვიდეს.

ერი შეუდგა ახალ გზას... ახალ სხივს...

მაგრამ სადაც ნათელია, იქ მისი აჩრდილიცა! ნათელს გაბოროტებით სდევს ბნელი! მათში მუდამ თავგანწირული ბრძოლა! მთელი ცხოვრება კაცობრიობისა ბნელისა და ნათელის, ბორიტისა და კეთილის ბრძოლა!

დიალ, ბრძოლა ცხოვრება, კიდაობა და მეტი არაფერი! და იმ ბრძოლაში საქართველომაც ხომ 15 საუკუნე განვლო და, ოჯ, ღმერთო ჩემო, რა საშინელება არ გამოსცადა იმ მანძილზე, იმ ეკლიან გზაზე იმ ჯვაროსანშა, ჯვარმტკირთველმა „ერთმა ბოხია საქართველომ“! რაოდენჯერ შეღებილა ის „აღდგომის კვერცხივით“ იმ ჯარასავით ტრიალში! „მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრება, ვიტყვი ზე-შთაგონებულ ისტორიულის ხიტყვით,— აღესილია ისეთი ტრაგიზმით, რომელიც უუკიდურეს ურწმუნოსაც კი აიძულებს იწამოს ძალა იდამინის სულისა, იმ სულისა, რომელიც მუდამ იბრძების და აროდეს კედება. თითქმის უსაშინელეს ისტორიულ პირობებშიც!“ მაგრამ პოეზიაცა ამ სისხლიან ისტორიაში! ქართველი ჰკიოთხულობს მას ცრემლებით! ას მოუთხრობს მას ეს ისტორია? იგი აუწყებს მას სუსუკუნთა განმეოლობაში განუწყვეტელ უბედურებებს, სამეფოს დაქუმაცებას სამეფო-ბად; ერთ აღმერის ერებზე და ტომთა ტომებზე, მაგრამ ამ შავ-ბეჭედ მმებშიც-კი დღემის სხივმოსილიათ გვაშეუქს ჯვარი ქრისტესი, რომელიც ერთხელაც არ ვაუშევა ერთგული ხელიდან მაღლიერ ერს, სანამ იგი უცნებლად, შეუბლალვად, სხივმოსილიადვე არ ჩააბარა ერთმორწმუნე რუსეთს.

ასეთი იყო ხეედრი— მისია ქართველი ერისა, რომ იგი ყოფილიყო მატარებელი და მთე-

სველი ქრისტიანობრივი იდეებისა ეტნოგრაფიულად კრელ კავკასიაში და აზიაში.

და განა არ იყო! როგორ არ იყო! მას წილად ხეთა მეზობელ წვრილ ერებში წინამძღვრობა, მოძღვრობა, მოციქულობა და ლირ-სეულადაც შეასრულო ეს როლი. მას ვერ დაივიწყებს თუ, ჩერქეზი, ლეკი, აფხაზი, ჩაჩანი, ქისტი, ჯიქი, ლლილვი. სარწმუნოებასთან ერთათ მან მისუა მთიულ ხალხებს მოქალაქობაც, კულტურა, ბეჭრ მათგანს ენაც. ქართველმა ერმა სახარების ქადაგებით მოულობ კული აქეზარ, ზეიად, გორის მთიულს და თან-და-თან აზიარა იგი ქრისტეანობრივ სიყვარულს და ჰუმანიურ აზრებს. განვლეთ შავი ზღვის ნაპირები, კავკასიის ქედი მისი ნაპირალებით, ხევებით კასპის ზღვამდი და მრავლად შეხვდებით გზა და გზა ამის ურუკარ საბუთებს, შეისწავლეთ მთიულების აღათი, ოჯახი, რწმენანი, ზეპირ სიტყვამდა და მიხედებით, რა მიუღია მთიულეთს საქართველოდან, ამასვე დაგიმოწმებენ იქაური ციხე-ტაძრები, საყდრები, ღრმუშები და ლეგენდები. ქართველი მთიულების მეზობელიც იყო და მამაც, ძმაცა და მოძღვარიც, მლელელიც და ნათლიაც.

ქართველი ერი ბუნებით არ იყო აგრესიული იდეებით გაელენთილი, მისმა ისტორიაში არც კი იცის სხვა, მეზობელ ერებზე უსამართლობა, ძალ-მოძრეობა. ის მოციქულობდა და მეზობლობდა. მისი კარი მუდამ ღია იყო სტუმრისთვის, თუმცა ბეჭრ გაიძვერს მოუხმარის ბოროტებით ეს გულკეთილობა, ეს ნდობა და ეს სტუმრისთმყვარეობა ქართველისა. იმერეთში ერთი საგულისხმიერო ლეგენდაა დარჩენილი. ქუთაისს მოადგნენ დიდი ყუთებით დატერიტული ქლემების ქარავანი. ქლემებს მოუდოლენ დაქანული ჩალვადრები. მათ ქუთაოლებს ლამის გასათევი ბინა სთხოვეს. ქუთაოლებმა სიამონებით გაულეს შეხაერებს სასტუმროს კარები და კაზაბიცა კარ მიაჩვენეს. გათენდა დილა. დაგნენ მასპინძლები და რა ნახეს?! მოვლი ქულ-გარებმ ჯარითა, შეიარაღებული ჯარით ხევეს! ხილამ მოიხსერ ეს ჯარი, არიგონ იუოდა. ზოგი მშობდა მწიდამ ამო-

ძრიამ, ზოგი—ციდამ მოგვეულინაო, ზოგიც მოჩვენებაო. ქარავნებს ჰქითხეს და მათ მრისხანეთ დაუბრიალეს თვალები და მუშტები უჩვენეს. თურმე შეზაერები იყვნენ მეზობელი მტრები, უჯრებში ჩაესათ შეიარალებული ჯარი და ისე შემოპარეს ქუთაისში, საიდამაც მერე ფეხიც აღარ მოიცვალეს. დიალ; ქართველს ბევრი სწვევია სუეთი გაიძვერა სტუმრი, რომელიც სახლიდამ ველარ გაუგდია.

ასეთი ბრალი ქართველს-ეს არაოდეს არ სდებია. ის არავისთან არ იყო მოძალე, ის თუ იბრძოდა, ამ ბრძოლაში ის კისრულობდა მხოლოდ ერთ როლს—როლს თავის თავის დამცველისას. ის უმეტეს ნაწილად მხოლოდ სახლ-ლერამდი მისდევდა შტერს, იქით კი აღარ მისუივებოდა—გზასაც ულოცავდა და მისახოდა: „არც შენი მინდა და არც ჩემსას გაგატანო“.

ამ თავის ნაკირნასულეფში, მას ყველაზე უძირფასესი განძი ჰქინდა ნინოს სარწმუნოება—ეკლესია—ჯვარი. თუ იბრძოდა ქართველი, მხოლოდ ამისთვის იბრძოდა. ამ ბრძოლაში მან დამარტებაც არ იცოდა. მთელი 15 საუკუნის განმავლობაში მან ერთი ნამცუ-ციც არა მთავრო რა ამ თავის საგანმუქრს, თავის სამკაულს.

და მერე არ ეკუთვნოდა ასეთი ერთვულება და თავდადება იმ სარწმუნოებისათვის, რომელმაც შეინახა მისი არსებობა, არ გააქრო იგი, არ გათქვითა სამუსულმანო აზიის იკვანები? იმ სარწმუნოებისათვის, რომელმაც შეუქმნა მას ხალხოსნობა, ეროვნება და მასთან ერთად აყვავებული საკუთარი, თავისებური კულტურა, ნაუიონალური სტილი, კილო, შორივი, მდიდარი ენა, ხელოვნება, ის ხელოვნება, რომლის ნაყოფია გრეატი, ნიკორწმიდა, მარტელი, ხაფური, ბიჭინტი, დრანდი, ილორი, ხახული, ტბეთი, ატენი, აშუერი, ხანზო, საარეკო ვარდა, ისტორიის ამოცანა საგარეჯო და ბერთუბანი, მცხეთა, ალავერდი, ახტალი და სხვა ათასი გოლიათები, ქართული ხერომოძღვრები, რომლებთან გვერდით მარტო პერიკლის ნიწარმოებნი და უკვდავი ფილის ნაშრომი და თუ დადგება? ქართველი როგორ

არ დაიცედა მკერდით იმ საჩრწმუნოებას, რა-  
მაც მას დაუბადა და აღუზარდა შარივანდე-  
ლით მოსილნი გვამნი: მეფეები ვახტანგ გორ-  
გასლანი, ვახტანგ მეორე, ბაგრატ III, IV და  
V, დავით I და III—აღმაშენებელი, თამარ  
პირი-მზე და ერეკლე, დიმიტრი და გიორგი  
ბრწყინვალე. შე. მწყემსმათვარნი და მონაზონ-  
ნი: პოლონე, სტეფანე, დავითი, გრიგოლ  
ხანზონელი, მიქელ მოდრევილი, იოანე ხახუ-  
ლელი, იოანე მტევნარი, თორნიე, იოანე,  
ეკვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, დიდი  
ილარიონ ქართველი, არსენი იყალთოვლი, ან-  
ტონი, ლომენტი, გაბრიელი და სხვანი. ჯირთ-  
ველი როგორ არ უერთვეულებდა, უშადურად  
როგორ მოკიდებოდა იმ საჩრწმუნოებას,  
რომელმაც მისცა მას ერთი ოქროს სუსუნე და  
მეორე ვერცხლისა, რომელმაც შეუქმნა პოე-  
ზია შოთა რუსთაველისა, შავთელისა, თმოვე-  
ლისა, ჩახრუხაძისა, ბესიკისა, დავით გურამი-  
შვილისა და სხვებისა?!

წმ. ნინოს მოძღვრებაშ გაატანია ქართველ ერს მისი კულტურული მოღვაწეობა სამ-შობლოს გარეთაც და ჩააღმზევია უფანი, კერა განათლებისა პლესტინაში, სინაზე, ანტი-უქიაში, საბერძნეთში და რომში. ეს შრომა იქ არ ყოფილი სულ თავისკენ თლა, მარტო თვის სამსახური: იგი იყო შრომა საკუობრიო, მსოფლიო, მთელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის. თხოთმეტი საუკუნე იბრძოდა ქართველი ოღმოსავლეთის ეკლესიის მტრებთან, ის მუდამ დარიჯად უდგა მართლმადიდებლობის და ბევრი არა გაატანა რა მტერს. ბევრი მართლიტი ჩამოსცვიდა საბერძნეთს ვეირგვინიდან, ბევრმა ნალევაში, ნაკირნახულებმა შეიღმა უდალატა მას და დაუთუთქა გული; მხოლოდ ქართველი ერი, წმ. ნინოსგან მაღლიანიდ ნაკურთხი, არ გადაადგა მას და არ მიიტყო ამ საჭიროობრივ დროს. ესც ცოტაა. იყო ისეთი მომენტებიც, როცა თეთვი საბერძნეთში მოფერდებოდი სარწმუნოება საკათოლიკოს მსხვევაში შეავთაბდება ხოლმე თიქს, რომ არ ჩამჭიდროყო უკანისენები ნაპერწეალი მართლმადიდებლობისა. ამ მომენტში მახტეთი

კათალიკუსი აძლევდა სამწყემსმოაგრი კანდი-  
ლატებს საბერძნეთის მიმქრალი იერარქიის აღ-  
საღვენად.

საქართველოს ეკლესია სხვამხრივაც ყუჩის  
უფლებდა ერთმორწმუნე საბერძნების და არა  
ერთხელ უხსნია ის პოლიტიკური განსაკლელი-  
დან. ბიზანტიის სამეფო ოჯახში პირველ მე-  
საიდუმლებ და თანამხრიახველად ათონის ივე-  
რიის ქართველი ბერები იყვნენ და უმატოთ  
საერთაშორისო საკითხებიც არ წყდებოდა.  
საქართველოს ეკლესია თვალსაჩინო მონაწი-  
ლეობას იღებს ჯვაროსანთა მმებში და აარ-  
სებს ტრაპეზუნდის იმპერიას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი განვითარებულ ანტიოქიას: როცა ანტიოქიის პატრიარქმა საქართველოს საკათალიკოს კულტურული მემკვიდრეობის, თვით-არსებობის წაუგოტინა ტანახი ხელი, ათონის ქართველი უბრალო ბერი გოორვი იძლევს მას საკადრის პასუხს და სდებს ლაგამს მის აღვირწისსნილობას და შედიდურობას: „თქვენ უწმიდესობავ! თუ დამორჩილებაზეა საქმე, თქვენი კულტურისა უნდა დაგვემორჩილოს ჩვენ – ქართველებს და არა ქართველები თქვენ: თქვენ თუ პეტრე მოციქულმა მოგნათლათ, იმ პეტრემ, რომელმაც სამჯერ უარცყო ქრისტე, ჩვენ გვიკადაგა და დაგვემძღვრა პეტრეს ძმამ ანდრია პირველწოდებულმა! ანდრიამ მიიყვანა პეტრე ქრისტესთან და არა პეტრემ ანდრია!“ პატრიარქი ჩაჩიმდა.

ასეთია ლვაწლი შპ. ნინოს საქართველოსათვის და ომრუსაღმრთისათვის.

ახლა მიუკურნდეთ რესერს და ვიკონტო, რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის წმ. ნინოს მოღვაწეობას და ქართველი ერის ვაჭრობისათვის?

წინ-და-წინვე უნდა ქსოვეთ, რომ ამ მნი-  
შენელობის დაფინანსება და აწონდაწონა თითოეულის  
შეკმობებითა.

წმ. ნინო და მისი ქალაგება ვახტა ხილად  
რუსთა და ქართველს შორის. მან ამჟავს ის  
უფრუნველი, რომელიც იდვა ამ არი ერთს შეა,  
მან წაართვა მნიშვნელობა მით იანიკორიათა

ულ, რასსობრივ, ანტროპოლოგიურ და ლინგვისტიკურ სხვადასხვაობას და წინააღმდეგობას. წმ. ნინომ წაართვა სრული მნიშვნელობა ბუნებრივ, გეოგრაფიულ დაბრკოლებებსაც რუსეთსა და საქართველოს შეუ. ერთ-მორწმუნებობამ შეურიგებელი შეარიგა, დაბრკოლება სასიკეთო პირობებად იქცია და ისე გადაყვანა ქართველ-რუსის ცხოვრება, სვე-ბე-დი და ისტორია, რომ მეათვ საუკუნიდამ მოყოლებული, ე. ი. იმ დროიდამ, როცა რუსეთმაც მიაგნო, თუმცა ძლიერ, თუმცა ძლიერ გვიან, იგივე გზა ნინოსი, ამ ორი ერის და-შორება აღარ მოხერხდა, დაშორება კი არა, რამდენი დრო წინ მიღიოდა იმდენი უფრო და უფრო ფატალური, აუკილებელი ხდებოდა ამ კიაშირის დამყარება, სანამ ჩართლაც ამავე აუკილებლობამ გეორგიესკის ტრაქტატამდი და იმპერატორ ილექსანდრე პირველის მანიქუსტამ-დე არ მიიყვანა ორივე მეზობელი და ერთმორწმუნე ქვეყანა.

სწორებ რომ მხოლოდ საქონისტიანო ნი-ადაგზე იყო შესაძლო თამარის ქარწინება რუ-სის მთავარზე, მორის გოდუნოვის დანათესავე-ბა კიხეთის ბერთან, ქართველი მიტროპოლი-ტის ეპიფანის ფფილიალურად მიწვევა (რო-გორც თავისუფალი ეკლესიის წარმომადგენე-ლის) მოსკოვის დიდ კრებაზე 1666 წელს პა-ტრიანქ ნიკონის დასამხობად; ანტონ კათა-ლიკის დამა ვლადიმერის კათედრაზე და იოსებ სამებელის აკვინა ნოველოზოს ქარ-გისკონსად, ან მეფეთ ვახტანგ VI-ს და თე-მურაზ II-ს დაკრძალვა სატრახანის ტაძარში გინა იმპერეტოს უკანასკნელი ქართლიკონის მაჭ-სიმეს (აბაშიძის) განსვენება კივის თვერაში.

ამა ქრისტიანობამ გადაიტანა ქართული მოღვწეობა ჩრდილოეთიკური: ჰერცეგურებს, ნოვგოროდს, მოსკოვს, კრემენჩუკს, მოზდოვს კიხეთის, ასტრახანს, საღაც გაჩაღებული იყო ქართველი მწიგნიმორბის საქმე ქართველი მე-ფეების, მღვდელმთავრების, ბერების და ბატონიშვილების ხელმძღვანებლობით.

მავევ ერთმორწმუნებობამ შემთხვევი და დაამჟამა საქართველოში ეკროპიული განთ-

ლება, რომის გავლენა რომ არ ვიანგირიშოთ; მანევ მოგვცა ნ. ბარათაშვილის ბაირონიზმი, რომანტიზმი, შემდეგ მოყოლებული რეალიზ-მი, სიმბოლიზმი ჩვენი საერთო პოეზიისა და სხვა.

ესეც ცოტაა. წმ. ნინოსგან გაქრისტიანე-ბულმა საქართველომ გააცნო რუსეთს ისე აღ-რე კავკასია და აზია, საქართველომ ისწივლა მას აქეთკენ გზა, გააძელონა იქეთკენ წამოსა-ლი, გადმონერგა სამხრეთისაკენ რუსის საქმე და განამტკიცა სამხრეთში რუსის მოქალაქო-ბრიენ ცხოვრება.

თხუთმეტი საუკუნის განუწყვეტელი ქა-დაგებით საქართველომ, სახარების საშვალებით, გააღმო და მოქნა, გააღმობიერა და გაათბო, რამდენითაც ეს შეიძლებოდა, აღმოსავლეთის ველური ხალხების ვერაცი, ტლანქი, მოუხეშე-ლი გული და სწორეთ ამით გაუადვილა ერთ-მორწმუნე რუსეთს მონადირება ამ ერებისა და რუსეთის ორთაგა არწივის აფრიალება მცირე აზიის მაღლობებზე.

საქართველო რუსეთისათვის აზიაში ისე-თივე წინამორბედი იყო, როგორიც ურიასტა-ნში ქრისტესთვის იყო იოანე ნათლისმცემე-ლი.

არკი ამიტომაც იგრძნო სასიკედილო, პა-ნიკური შიში, ორანის მფლობელმა შახაბაშმა, საქართველოს რუსეთიან ხელშეკრულობის გა-გონებაზე! დღალ, ამ ქრისტეანულმა კავშირმა დააწერია შახაბაშმის მისი საზოგადო ულტიმა-ტუმი. „რა გიქნა ეს შენ?! — სწერს ყეინი ირაკლი მეორეს 1795 წელს, — 90 წლის კა-ცი ხარ, გამოუდილი და კვიინი კაცი, შენ-კი ასეთი სისულელე ჩაგიდენია, მოგიყვანია აზია-ში უცხო, საშიშარი ხალხი, გისწავლებია ჩეენს-კენ გზა, ამით შენი თავიც დაგიღუპავს და მთელი აზიაც! თუ კვიინი კაცი ხარ, ახლა მინც ირგებენ შენი მდგომარეობა და ან მა-გასთან კავშირზე იღებ ხელი, ან და მოვალ ჩემი ძალებით და თქვენი სისხლით შევქმნი მდინარეებს, მტკერის მსგავსად!“

მერე როგორ მოქადა ირაკლი? იგი მო-იქცა, როგორც კეთილშობილი ქრისტიანი.

ବାନ ପାର୍ଗାଦ କୁନ୍ଦା ତାଙ୍ଗିଲେ କାମିଶି ମଦ୍ଦଗମାର୍ଗସବୀ, ମାର୍ଗଟ୍ରଣ୍ଡ ଲ୍ଯାର୍ଜନ୍ହିଲମ୍ବା ନିରାନିଳ ମେଲାଲେ ତିକରିଶି, ମାଝରୁଷ ମାନିକ୍ ଲେ ଅଧିକାରୀଙ୍କା, ନନ୍ଦ ନାମାଚାରୀ, ବା-  
କ୍ଷିନ୍ଦନାଶ୍ରୀଲ୍ଲେବି ବାଥିମନ୍ଦଲୋଲେ ମନୀଲେ ହାତ୍ତେଲା ଏହାବେ  
ତାଙ୍ଗିଲେ ତାଙ୍ଗାଲିତ ଦା କୁଳିଲ୍ଲେ ଫୁଲି କି ଏହ ଗା-  
ର୍ତ୍ତେବା. ଦା ଶାବିପୁ କିମ ମାରିଲା ଏହିବା ବାଜାରିତ୍ତର୍କ-  
ଲୋଲେ ଦା ମିଳ ତ୍ରୁପ୍ତ-ଵ୍ୟାଲିଶ୍ ଉତ୍ତରାଂତ ନନ୍ଦ ମର୍ତ୍ତ୍ତୁ-  
ନିଲେ ମେଡିନାର୍ଜେବିନ୍ ଶ୍ରେଷ୍ଠା ଜାରିତ୍ତାଲେବିଲେ  
ନିଲେବିଲେ?

ମେର୍ଗ ଶ୍ଵେତନାଦ ଗୁଣି କାରତ୍ତେଲୋଟି ଦା ଉଦ୍‌ଧା-  
ଳାତ୍ରା ଏହାମନ୍ତରିଷ୍ଠମୁଖୀ ମହାରଜେଲ୍ଲା? ଏହା ଦା ଏହା.  
ଉଦ୍‌ଧାଳାତ୍ରା କା ଏହା ଦା ଗିରାର୍ଗା ମେଫ୍ଫିସ ବେଳିପ କା  
ଗାବେଶନ୍ତରେବଳୀ ର୍ତ୍ତ୍ସେତାନ କୁହାଶିଳୀର ଗାନ୍ଧିଯେତାଶ,  
ଏହାଗୁଣାଦ ଏହିପ୍ରେଲା ମେଲେଣ ଏହାପି ଦା ଏହିପ୍ରେତା  
କିର୍ଦ୍ଦେଵାପ. ଏହା ଏହାମନ୍ତରିଷ୍ଠମୁଖୀ ଏହାତାନ ଏହାତାଦ ବେଳ୍-  
ଦା ତାଙ୍କେବ କାତ୍ରାରା ଦା ମହାରାଜ ଗମିପଲ୍ଲୀର, ଗା-  
ମମିଷ୍ଠାରା ମୁହଁରାତି ସାଥଗାରମ ମର୍ତ୍ତରେବି ଦା ଏହା  
ଏହା ଦା ଏହାମ ଶ୍ଵେତି ମିଶନ୍ସିନିର ତାଙ୍କେବ ମହାରଜେ-  
ଲୀଶାଟ୍ରେବ ମିଶନ୍ସିନିରିଲୁହା!

და ოუ ამდენი ნაამგარი ყოფილი წმ. ნი-  
ნო და მისი ღვიძლი ქრისტეანე ქართველი ერი  
აღმოსავლეთთან, მთიულეთთან, სამშობლოს-  
თან და ჩუქუთთანაც. გვაქვს ჩვენ ნება — დავი-  
ვიწყოთ ჩვენი ნაკირნახულები დედა და მისი  
ქრისტეანობა! გვაქვს ნება მუდამ არ ვკიცნოთ  
მის. წმ. საფლავება?! გვაქვს ნება არ ვატაროთ  
მისი ჯვარი გულში?! გვაქვს ნება ან ჩვენ, ან  
ერთომორწმუნე ერს?! არა და არა. ჩვენი ვალია  
აფილოთ მაგალითი მოკირნახულე მამა-პაპათა-  
გან და მნე გუშაგათ ვუდგეთ იმ სარწმუნოე-  
ბის, რომელმაც მოვცა ისტორია, ეროვნებია,  
არსებობა, კულტურა, სული, ერის სახელი და  
ურომლისოდაც. მაშასადამე, გავქრებით, არად  
ვექცევით, დავკარგავთ სახეს, ისტორიას, ენას,  
არსებობას!

მაშინადამე ვევეღროთ ჩეენს განმანათლებელ, შპოტელ დედის, წმ. ნინოს, რათა მან არ ვევხადოს ის დიადემა, ის ვკორვეონი, რომლითაც მან შევვიძე ჩეენ თვით, არ ჩავვიქმოს, ჩავიყერულოს ის ცუცხლი, რომელიც მან ვაგიარდა, არ ვევრშალოს და არ ვევიმუროს. ის კრისტიანი, რომელიც მან თვითს ვედლიანი ხელით ჩავვიდა!

წმიდათ მოცეკვლთა სწორო ნინო, ევალ-  
ე ღმერთთა ჩვენთვის! ამინ!

მღვდ. გ. კელენჯერიძე.

1912 წ. 14 იანვარი,

ବୋଧ୍ୟବଳୀ

წმ. ნინოს დღეს, თქმული ფრთის სა-  
ქართველოს ტაძრში.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულის  
წმიდისათა.

იანვრის ოთხმეტი უძვირფასესი დღეა ქარ-  
თვე ლებისათვის; ეს როცხვი და კავშირებულია იმ  
მაღლიანი პიროვნების ხსოვნასთან, რომელმაც  
მკვიდრი საძირკველი ჩაუდგა ჩვენი ერის შევ-  
ნებულ არსებობას, რომლის მეოხებითაც ქარ-  
თველმა ერმა აქტოს ასოებით ჩაიწერა თავის  
თავი კაცობრიობის სტრონაში. წმინდა ნინოთ-  
ბა აღნიშვნაა ქართველი ერის ზნეობა-გონებრი-  
ვი სიკეთისა, წმინდა ნინოთბა და ქართველი  
მისი დამახსიათებელი სულიერი მაღალი თვე-  
სებებით ერთი და იგივე, ერთი მეორის ბადალი,  
ერთი მეორის თანასწორი და ტოლი სიტყვე-  
ბია. საკმარისია წარმოითქვეს ჩვენი განმანათ-  
ლებელის სახელი, რომ შევნებულსა და განვ-  
ლილი ცხოვრების მოღწევა კაცს გონების თვეალ  
წინ დაუდგეს ქართველის სურათი მისი საუკე-  
თესო სულიერი თვისებებით. წმ. ნინო და ქარ-  
თველობა ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით  
ისე განუყრელათ არიან ერთი მეორესთან შე-  
ოვისებულნი, როგორც ჩვენი სხეულის ცველა  
ნაჯრებში სისხლი და ხორცი.

რა გაარიგა წმ. ნინომ ქართველი ერის  
ცხოვრებაში ისეთი, რომ მისი სიხელი ვანუ მო-  
რებლიდ ჩატქსოვია ჩვენს ეროვნების. რომ ნი-  
ნობა და ქართველობა იგივეობად უკეთნი-  
თან?

წმ. ნინომ გაანთლუ ქრისტელი ერთს კონგრესი და მართლი, სამართლის და უკუკიდი მომ-

ლერებით, რომელიც აღიარებს, რომ მსოფლიო, ქვეყნის ერება, ცა და დედმიწა მოული მათი ხავსებით დაუსაბამო ლეთის ქმნულებაა, რომ ყველაფერი ეს არსებობს და ცხოვრობს ლეთის განგებით, ყველაფერი ეს ხელო უპურია შემოქმედს. წმ. ნინომ ალტინა ქართველებს, რომ ქვეყანაზე ლეთისათვის კატისთან ძეირისი არა არის რა რომ ღმერობმა თვეისი უსაჩლერო სიკეთის გამო სიბრძელეში და შეცდომილებაში მყოფ კაცობრიობას მხსნელად და განმანათლებლად მოუკლინა მხოლოდ შობილი ეს თვეისი უფალი იქსო ქრისტე, რომელმაც ახალი სული შთაბერა კაცობრიობას და ბრწყინვალე მომავლისაკინ გაუკეთა მას გზა ამგვარი დიდებული იდეალით და მაღალი მტკებების დაყენებით: იყვენით სრულ, ვითარება მამა თქვენი ზეცათა სრულ არს (მათ. 5, 48); შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარება თვეი თვეისი (მანვ. 12, 31); უფროსი ამისა სიყვარული არავის აქტს, რათა სული თვეისი დასდგის შეგობართა თვისათვის (ითან. 15, 13); ესი უნდეს პირველ ყოფა, იყოს იგი ყოველთა მრწერ და ყოველთა მსხურ (მარკ. 9, 35); ყოველი, რომელი გინდეს თქვენ, რათა გიყონ კაცა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათ და მიმართ (მათ. 7, 12); და სხ.

ამ მოძღვრების დანერგვით წმ. ნინომ ქართველი ერი შეიყვანა მოწინავე ერების წრეში, ქართველობა სულიერათ დაუნათესება განათლებულ ერებს და მითით მონაწილე გახადა იგი უკინასენებების გონიეროების სიმღიდონისა. ქართველმა ერმა დედოს რძეს ვით შეითვისა ნინოსაგან მოტანილი მოძღვრება ჯერ ისევ მეხუთე საუკუნის შექრონაბაში მოიხვევა მან უწარჩინებულების ქრისტიანი ერის სახელი და მას უკან მსოფლიო ისტორიაში ქართველს სამუდამოდ დარჩა წოდება ჯვარმოსილისა, ქრისტიანული რაინდისა, სორწმუნობის დარაჯისა და თავება მოცემულისა.

წმ. ნინომ ქადაგებამ, რომ შემოქმედი და მაცხოვერი უნდა კოლოცოთ და ვალიდოთ ჩევნი საკუთრივი ენით, გამოიწევი გაღმომება ქართველ ენაზე ძელისა და ახალი იღოვენ ქმის საღმრთო წევილის შემოსის შემოქმედისა, მარტინის სახელი და სხ.

შებისა და ქრისტიანული ფილოსოფიული თხულებათა თარგმანება და მინ ფეხი აადგენერინა, მოხეშა, მოარბილ-მოქნა, აღზარდა, გამდიდრა, ააყვავა, მაისის ვარდივით სამმოთ ვაფოთლ-გაფურჩქნა და პოლოს ბუმბერაზობით შემოსა ქართული ენა, მეგრელის ერი იმ თვითვე მიხედა წმ. ნინოს ლეაჭლის დიადობას და ნიშნად მულმიგა მაღლობისა თვით მეტყველების ორგანოს, სიტყვის იარაღს ენას უწოდა ჩევნი განმანათლებელის სახელი.

წმ. ნინოს მოძღვრების გამო ჩევნი სამშობლო მოიკედა ისეთი ცის მსგავსი ტაძრებით, როგორიც არიან მარტვილი, გელათი, სვეტი ცხოველი, სიონი და სხ. თვითეული ქვა ამ საოცარი ტაძრებისა ეჭვს გარეშე საბუთია ქართველი ერის მაღალი გემოგნებისა, თვითეულ კარ-ფანჯრის ხევული თვემოსაწონი საღართო ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭისა, საარაკო გმირის მომხმიბლავი ქუდივით ცამდინ აბჯენილი თოთ გუმბათი იმ ტაძრებისა საამიკო ძევლით ქართველი ერის გენალობისა, თვითეული ტაძარი უტყუარი მატიანეა ქართველთა ცხოველებისა და თუ გინდ რომ ეს ძეგლები ამას იქით კიდეც დანაურნ და მტკად აქციობ, მათი სურათებიც საქმი იქნება, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის თვალსაჩინო ალავი დაეთმოს ქართველთა ხსენებას.

წმ. ნინომ ქართველობა გააქრისტიანა და მითით ყველას დაანახეა, რომ საზოგადო საქმეში ქალი თანასწორი მამაკაცისა, სიკეთის გარიგებაში ქალი ტოლია მამაკაცისა. წმ. ნინოს გავლენას უნდა უმაღლოდეთ, რომ საქართველოში ქალმა იმ თვითვე იდეალური პატივის-უძმა შეიმოსა, რომ ჩევნში ქალებს ხშირად ექირათ სამეფო ტახტი და ქართველმა ერმა ძველ დროშივე გამოსთქვა თვეისი საუკეთესო შეილის პირით საცხოვით საღი და ნათელი შეხედულობა ქალზე: „ლევა ლომისა ერთია, მუწის გრნა ხვადია“.

ასეთია მოკლეთ წმ. ნინოსაგან გაწყველი ამავე ქართველ ერზე.

ამოშალეთ ყველაუერი ეს ჩევნი ერის ისტორიიდან, ჩევნი წასული ცხოველებიდან და

გვიბძანეთ, რაღა დარჩება მაში, რაღა ექნება სახარბულო და დასაფასებელი ქართველ კაცს?

შეიძლება, ვინმემ გვიპისუხოს, — წმ. ნინო რომ არ გამოსჩენოდა ქართველობას, იგი უკმიტეს გზას დაადგებოდა, უჯობეს კულტურას შეითვისებდა, უფრო ბრწყინვალე ისტორიას და გვიტოვებდა. ხათქმელათ ყველაფერი აღვილია, მაგრამ რაზე უნდა დამყარდეს ასეთი მსჯელობა, რა საბუთი გვაქვს ამის დასამტკიცებლათ, საიდან შევიძლია ასეთი დასკვნის გამყვანა?

სხვა გზა და სახსარი არ იყო; — ქართველი ერი ან უნდა ისევ წარმართად დარჩომილიყო, ან გაქრისტიანებულიყო და ან მამადის მოძღვრებას დასდგომოდა. მაგრამ წარმართობამ თითონ აღიარა თავისი სრული არარობა სახარბის ცხოველმყოფელი მოძღვრების წინაშე და ამის გამო თავათ გაქრა და კომლივით გაიფანტა. რაც შეეხება მამადიანობას, იგი ნამდვილი უბედურება იყო განათლებული კაცობრიობისათვის. რა მეტი და ცეცხლი დაატყდათ თავს მამადიანობის მიღებით საქართველოს იმ კუთხებს, საიდამაც გამოვიდნენ შოთა რუსთაველი, გომრეგი მთაწმინდელი, იოანე მტბევერი, გრიგოლ ხანძელი და მათ მსგავსი ქართული შრიენდობრობის დიდებული მნათობი, ყველამ კოცი და ყველანი ხედავთ, მამადიანი ქართველი მოძულე და მდევნელია ქართველი ეროვნებისა, ქართველი ენისა, ქართველი ზრდებისა, ქართულ ზე ჩვეულებათა.

არა, ჩვენ რომ ლვის განგბით წმ. ნინოს არ დავუკენებით ქრისტიანობაზე, ეპვი არა, დღეს ხსნებაც აღარსად იქნებოდა ქვეყანაზე ქართველობისა და ქართული კულტურისა.

სკულპტორი, დიდი სკულპტორი და მიუტობელ დანაშაულობის სხავიან სამშობლო ისტორიისა და მომავალის წინაშე ისინი, კინც მოწინავნებისა და გამოდინის ჩვენში ქრისტიანობისა, კინც წმ. ნინოსგან მონათლულ ხალხს უქადაგებენ ურწმუნოების, რომელიც უდილობენ ქართველი ერის გადაგდების წმ. ნინოსგან გავაფული გხიდის. ბრძოლი ქრისტიანობისთვის კონკრეტული სიბრძავე და სულიერი სი-

ბეცე, რომელიც ძირიანად ამოავდებს ჩვენ ერს და გაავერანებს.

შევოხოვ გულის სიღრმიდან ჩვენს სულიერდებას, ჩვენი გონებისა და ზნების ბრწყინვალე ლამპარს, ჩვენი ისტორიისა, ენისა, შრიენდობრობისა და ეროვნული კულტურის ქვეყნების წმ. ნინოს მიმოფარულს სრულებით ამ ბოლო დროს სქლად ჩამოწოლილი ჩვენს საზოგადოებაში ურწმუნოების ნისლი და მისგან შეყვარებული ივერია კვლავ განაბრწყინის ქრისტიანობის ნათელი სხივებით, რომ აწინდელი ჩვენი გაყიდული, უნაყოფო და უიდეალო ცხოვრება, ხელიხლა მოძრავდეს, გაიფოლოს, ნაყოფი მოიტანის და შეიმსახუს მამა-პაპათა სულიერი სიკეთით. ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

## გერის დღიურიზან.

„სტევა უგნურმა გულსა შინა თვისსა, არა არს ღმერთი“.

ურწმუნოება კუუის განლალებაა, წესიერების დარღვევაა, ალვირ-შობილი უზნენ მეტობაა, სულიერ განათლების დამხობაა, მეტნიერების შეძენის შეფერხებაა და ცხოვრების წინაშელის შემაბრკოლებელია. მრავალნი ურწმუნოების სენით მოწამლულნი სასწავლების მიზიდვიან და თავს იყლავნ, და ესრეთ წარიშყმედენ სულსა თვისსა, აუბედურებენ მშობელთა და საშობლოსაც ეკარგებიან. ლვის მყოფობის ცნება ბუნებით თანმობილია იდამიანში, ხოლო ურწმუნოება არა ბუნებური თეისებაა, არამედ ზედშემოსრული წინააღმდეგობაა მოუწდომლობის ძლით უძლურების გამო გონების დასაქმაყოფილებლად ბნელ აზროვნებით მომდოვრებული.

ურწმუნოების შესაძენიდ ლვაწლი და შრომა ვის რიც სკირია, არამედ ერთი ლდენ სიკუვათ სკირო, ე. ი. „უარყოფა“. ამის შემდეგ უსწავლელი და ნისწავლი ერთ სახელწოდებით

იდიდებიან, ე. ი. „განათლებულია“. „ვაი მათ-  
და, რომელი გადააქცევენ ნათელია ზნელიდ  
და ბნელია ნათლიდ“.

ურწმუნოება გონების სიძაბუნეა, სულიერ  
სიმდიდრის დათრგუნვაა, სათნოების სიღატა-  
კეა, ზნეობრივ ბრძოლის წინაშე სილაჩრეა,  
კეთილისა და ბოროტის უმნიშვნელოდ გათა-  
ნასწორებაა, რაც კაცი მხოლოდ შემთხვევის და-  
გვარად ხმარობენ.

ურწმუნოება ახალს ვერაფერს შეძენს და  
ვერც აღუდვინებს კაცობრიობას, ხოლო დახა-  
ბამიდგან სოფლისა, რაც კაცობრიობის სიბრ-  
ძეს აღუშენებია იმასაც დაარღვევს.

მთელი კა და ქვეყნის არსება ღვთის მყუ-  
ფობის აღმსარებელია. რავდენიც უნდა გვერ-  
დი აუხვიო ღვთის მყოფობის აზრს, მაინც ვერ  
განერები მის უფსკრულ სიბრძნის მიების უწ-  
დომლობით პირდასაყოფა მიზეზს, მით რომ რაღ-  
გან ძება დაუსრულებელია, უეჭველიდ მეც-  
ნიერების წინაუდევს საფიქრებელი, რომ არის  
კიდევ უმაღლესი ძალა, რაც მას ჯვრ ვერ შე-  
უგნია და ეს გულისხმევიყოფს; რომ არაც  
არ ვიცით, იმის უარყოფით დამტკიცება სი-  
სულელეა.

ნამდვილი ბრძენი კაცი არასოდეს არ  
იკადრებს იმის თქმის, რომ ღმერთი არ არის, მისთვის რომ რაც სინამდვილით არ იცის, იმის  
დაჩემება დიდ უგუნურებად მიაჩნია და ყოველ  
შემთხვევაში, რაც გინდ ურწმუნო იყოს მაინც  
საშეალ გზას ითხევს, და უღმრთოების დამ-  
ტკიცების არასოდეს არ დაიჩემებს.

უღმრთოების მქადაგებელი! რას აშენებ  
საზოგადო სახელნიტო ერთობაში და როთ  
ეწევი გაჭირვებულ აღამიანობას? არაფერს, თვი-  
ნიერ იმისა, რომ უბრეულების უფსკრულში  
ური აღამიანობას, ქადაგებ იმას, რაც არ უმ  
და ამტკიცებ იმას, რის დამტკიცება შეუძლე-  
ბელია.

უღმრთოების ქადაგება მეცნიერება რო-  
დია, არამედ მეტისრობით ამაყობაა და გადა-  
კარგებულ სიბრძნის დაჩემებით ცილიერ სიტ-  
ყების რიხარებია.

სისულელეა იმის იმედი, რომ ღვთისმეტ-

უველება როდისმე სამუდამოდ მოისვოს. თუნ-  
და რაც საღვთისმეტყველო წიგნებია ერთბა-  
შად დასწერ და ღვთისმეტყველი პირებიც სრუ-  
ლებით ამწყვეტონ, სული იდამიანისა არს-  
ბობის და შეცნიერების მიზეზს გნახლებული  
შეგნებით კვალად ძლიერად აღიარებს და  
ღვთისმეტყველებისა მდინარენი სდიოდენ თვით  
მის ნიჭი-მანათებელი და შეცნიერების მომნი-  
კებელი საღმრთო ბუნებისაგან.

### ხორციელი ენებები და სინიდისი.

საცოდავი იდამიანი ყოველ ღონეს ხმა-  
რობს თავისი ნება-სურვილების დასაქმაყოფი-  
ლებლიდ, ვითარებე განათავისუფლოს თავი სუ-  
ლის ზნეობრივ მაღალ მოთხოვნილებათაგან, მომავალ პასუხისებისაგან, რომლითა უარპყო  
ღმერთი, სჯული და ეკლესია, შექმნა ახალი  
თავისუფალი სამეფო, რომლის გამგედ აღიარა  
„სინიდისი“. ამ დადგენილებას თავის თავად  
ებადება ერთი კითხვა: ასეთ თავისუფალ მო-  
ზრე პირებს, რომელთა არაფერი სწორ მომა-  
ვალი ცხოვრებისა, რად სკირიათ სინიდისის  
მეუფება? გონება განაგებს სამოქმედოს, ხოლო  
სინიდისი განიკითხას განგებულს. სინიდისი  
არის გონებასა შინა, ვითარება საღმრთო ნა-  
პერწყალი და მისი საქმეა განკითხვა, მხილება  
და შემასმენელობა მხოლოდ უძველეს შერიც, და  
მიკირს რა საქმე აქვს სინიდისთან იმ პირებს,  
რომელთაც ცოდვის შედეგთან პასუხ-გების საქ-  
მე არაფერი აქვთ?! ურწმუნოთა სულში სი-  
ნიდისს რა დაგილი აქვს, გარდა სიყალისა და  
სიტრუსის? თუ მომავალი ცხოვრება არ არის  
და მოქმედებათა განკითხვა არ არის, არც ბო-  
როტებას გავარჩევ-შევემეცნები და მაშინ ვისი  
სინიდისი? რად არ შევასრულო, რაც მომინ-  
დება? რა მიზანი აქვს მოთმინებას, ნების უარ-  
ყოფის და რად უნდა დავაფასო სურვილის  
სატრფო საქმის შეუსრულებლობა სამწუთო  
სიამოუნების ქვეყანაში?

გვიპასუხებენ, სინიდისის მეუფება გვკირია

მოქალაქობრივ სააქაო ცხოვრების საპატიოდ. ძალიან კეთილი, მაგრამ ამ შემთხვევაში სინიდისმა უნდა დააფასოს ყველაფერი სარგებლობის მიხედვით. სინიდისიერი და უსინიდისო, ზეობრივი და უზნეო ივივი იქნება რაც სასარგებლო და უსარგებლო. ახლა თქვენ ამბობთ სინიდისის მეუჯება უნდა მივიღოთ მოქალაქობრივ სააქაო ცხოვრების საპატიოდ, მაგრამ თუ სინიდისის ჩჩევა პირადი ჩემი ცხოვრებისათვის სასარგებლო არ შეიქნა?! მაშინ რად უნდა ვაწინაშემდეგ სინიდისი? როცა სამერმისო ხედვის ვსპობთ და ვმყარდებით სააქაო ცხოვრების დღევეთილობაზე, უსათუოდ ჩვენი მოქმედებათა ქვემდებარეთ უნდა იღვიაროთ სარგებლობა და სიამოვნება. დანარჩენი აზრი ურწმუნოთათვის ყოვლადვე არაფერი გვრჩება. ხოლო სიამოვნება და სარგებლობის აღსავაშელად თითოეულ კაცში შეუყენებელი სურვილი წინამორბედობს და ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად მრავალი საშვალება უჩნდება ადამიანს, რაც მეორე ადამიანისთვის სავრნა და რამ შეაყენოს პირველი საამქევენო სარგებლობის შეძენის წინააღმდევ. როცა შემთხვევა ეძლევა მას სურვილი შეისრულოს. ვსტკვათ სადმე ვიპონე დიდხალი ფული, ავიღე და ჯიბაში ჩავიდევ. შემდეგ გავიგე, რომ ამ ფულის პატრიო დიდ მწუხარებაშია ფულის დაკარგეთ, მაგრამ მე თუ მხოლოდ საამქევენო სარგებლობის მოტრიტიალე ვარ, რად უნდა გავუცხადო მას ჩემი ნაპონი? ავიღოთ მეორე მაგალითი: ვსტკვათ ვისმე მიყრუებულ ალაგას შეეყრა ფულიანი კაცი. თუ მოეკიტოთ ხედვა მომავალ პასუხ-გებისა და მხოლოდ სარგებლობისთვის ვიარსებებთ, რომ შეაკავოს იგი მდიდრის ხსნებულ ალაგას გაძირუა-მოკვლისგან? კინებს წინ პასუხისმგება არ შეაშინებს და სარგებლობის ხედვაც ხომ უკარნახებს ასე მოკიცეს? არა, სარგებლობის საზომით ხედვა ვერასოდეს ვერ ააყვევებს ცხოვრებას. სარგებლობა, პირისგებო ყველის ერთნაირი არა იქნა და ამ საძირკველზე ყინითა ბრძოები უფრო აღმოცნდება, ვიდრე პატონსანი საზოგადოება და საპატიო მოქალაქობა.

მარტო სინიდისხე დაყრდნობა თუნდაც ყური უგდოს ურწმუნომ მის ხმას (რადგან უზრო იქნება ეს ყურისგდება ურწმუნოების ხედვით) მაინც სახიფაფოა ზეობის მუშაკისათვის. საზოგადოდ სინიდისის მცნება ბუნდოვანია, რადგან მას აუძლურებს თითოეულ ადამიანის კერძო პირობები, აღზრდა, სმენა, მსჯელობა, რომელთა ზეგავლენას ეკუთვნის სინიდისის ან განათლება ან დაბნელება. ამგვარად საერთო ნიადაგი არა აქვს სინიდისის ძლით მოქალაქობას საამქევენო საპატიოთაც.

ამასთან ხორციელი ბუნების მოთხოვნილებანი მარადის დაკმაყოფილების სასტიკად ითხოვენ. ეს მოთხოვნილებები ისეთი მწვავეა. ისეთი მძლავრია, რომ არამც თუ ულმრთო, ურწმუნო, თვისუფალ მოაზრე პირების სინიდისი, არამც მორწმუნეთა სულშიც სინიდისი ძალიან უძლური გამოდგა და უმრავლესობა ბორცუ ნებამ შთანთქა. მაშ ურწმუნოს სულში შესაძლოა განა შევაბრძოლოთ პატიოსნებით მოსაუბრე, თვისუფლების ღიასეულებით ჩჩევის მიმცემი სინიდისი ხორციელნების, ნივთიერ იარაღებით მძლავრად მკვეთებელს და ცეცხლ-მახვილებრივ მებრძოლს? ამ ათიოდ წლის წინად, ახალი მოძრაობის დროს, თვით ამ „მხოლოდ სინიდისის მეუყების“ მქადაგებელმა, მოძრაობის მოთავე ვაჟბატონმა თავის მოყვასს ლამაზი ცოლი წაართვა, რომლითა „მმობა-სიყვარულის მქადაგებელმა გასაგმირავი ისრები ჩაარკო გულში თავის ძმას და ჩააგდო სიძულილის გენიში. რა უყო მან მაშინ თვისი ბრწყინვალე სინიდისი? ნუ გვატყუებო, ბატონებო, და ნურც თქვენს თავს აცოუნებო. მსოფლიო ცხოვრების ზღვაში მცურავნი დელვის დროს ტალღებს ვერ წინააღმდეგებით ურწმუნონი, მტკიც რწმენაზე აღრზდილ ნების უმისოდ მარტო სინიდისის საჭით ფონს ვერ ვახვალო, არამც ყველანი მყრალ ნების მოთხოვნილებათა უფსურულში დაინტერებით.

ალექსი ბერია.

იოანე ნინოდისმცემელი და მისი სინა-  
ნულის ქადაგის იორდანის უდაბნოში.

როგორც უდიდებულესის მნათობის—მზის  
აღმობრწყინების წინ უძლესი დილის განთიადი  
ავრეოვან ქვეყნათ ზეგარდმო მადლით და დიდ  
ბუნებოვან დვთის განგებულების განმახორ-  
ციელებელ პირთა მოელინება—რამე მიმსგავ-  
სებითა ანუ წინასწარმეტყველებითა აღინიშნება  
წინდაწინვე. შეიდასი წლის წინათ იოანე ნა-  
თლის მცემლის დაბადებამდის, ძევლი აღთ-  
ქმის უდიდებულესში წინასწარმეტყველმა ისაიმ  
შემდეგის სიტყვებით აუწყა ქვეყანას მისი (იოა-  
ნეს) მოელინება იორდანეს უდაბნოში და ქა-  
დაგება. „ხმა ღალადებისა უდაბნოსა ზედა,  
განმზადენით გზანი უფლისანი და წრევი  
ჰყენითალვანი მისი“. „აღესრული ეამი“,  
დაღა ღრო და ისაის წინასწარმეტყველებაც  
აღსრულდა: უდაბურ იორდანეს ნაპირებში  
არაჩვეულებრივი მქადაგებლის მქუხარე ხმა  
გაისმა. ვინ იყო ესა? ეს იყო ქრისტეს წინა-  
მოჩედი და ნათლისმცემელი იოანე. კეშა-  
რიტით საკირველება იყო ცხოვრება მისი...  
ის წარმოადგენდა მთლიათ მსხვერპლს და ლვ-  
თის მსახურებას. ქვეყანასახედა სცხოვრობდა  
მაგრამ არც ერთი ძაფითაც არ ყოფილი შე-  
ერთებულ-დაკავშირებული მის კოდვებით აღ-  
სავსე ცხოვრებასთან. თელი თავისი სიცო-  
ტლე ის ანათებდა, როგორც ანთებული ლამ-  
ბარი და არ დაძერალა, სანმ თელათ არ  
დაიწვა, და იწოდა ის არა თავისთვის—არამედ  
ლვთისა და ხალხისთვის. სიყრმეშივე სტოვებს ის  
სოფელს თელი თავისი ამათ, მაგრამ ჩვეულე-  
ბრივ-ხაშვალო ბუნების კაცისათვის წარმტაცს  
და მომხიბლებს სიტებოებითა და ხალდაც მიუ-  
ვალსა და ველურ მთებში უცდა თ წლაშ.  
დო უსასრუკეს იწროებასა და მომზინებაში  
ემზადება მომიავალი დიდი მოწოდებისთვის. და  
ის, როგო „აღესრული ეამი“ ის მშგავრება  
იორდანეს უდაბნოში საქადაგებლით და ხალხის  
მოსამზადებლით მაცხოვის მისაღებათ. მაგრამ  
სანმ მის სინანულის ქადაგებაზე ვიტყუდეთ  
რამდე, ხაჭირთა გვირცოთ მოკლეთ ამ ქადა-

გების მსმენელთა სულის კვეთება, საჭირო  
თვალი გადავავლოთ იოანეს თანამედროვე ებ-  
რელთა ცხოვრებას.

იმ დღეებში და იმ ღროს, როგო  
იოანეს ქადაგების მქუხარე ხმა გაისმა, ებრაე-  
ლების ცხოვრების ყოველი დარგი, ყო-  
ველი კუნჭული საშინელი ბნელით იყო  
მოცული. ებრაელების მაშინდელი ცხოვ-  
რება შეიძლება შევადარით გრძელი და ბნელი  
ღამის იმ წამებს, როგო ის, გრძნობს რა მთა-  
ხლოვებას განთიადისას; იქებს უკანასკნელ  
ძალებს წყვდიაღისა და სიბნელის გასაძლიერე-  
ბლით. ეს იყო ტანჯეებისგან მიღულ ვით-  
მყოფის უკანასკნელი სულის ბორგვა, რის  
შემდეგაც ჩვეულებრივ სიკვდილს მოელინ, მაგრამ, ხშირათ, განკურნებით თავდება. ერთ  
ღროს ღმერთობი მოსაუბრე, ლვთისგან რჩეული  
და დაჯილდებული ვანსაკუთრებული. უუ-  
რადღებით, თელი წიაღში ლვთის განტხადების  
მატარებელი და დიდებული წინასწარმეტყვე-  
ლების წარმომშობი ებრაელი, თავის სარწმუ-  
ნოებრივ, სიბნელეში და ლვთის ურჩობაში  
იქამდის მივიდა, რომ ვერც მსხვერპლიმა,  
ვერც სინედრიონმა, ვერც მასწავლებლებმა  
ვერ უშველეს, ვერ შესძლეს მის გულში კეშ-  
მარიტი სარწმუნოებრივი გრძნობის გაღვიძება.  
დღით ხანია შეწყდა ებრაელების ქვეყნაში  
წინასწარმეტყველების მხილების ხმა... ხოლო  
ფარისევლები, საღუპვლები და საზოგადოთ  
ებრაელების მაშინდელი სარწმუნოებრივი წი-  
ნამდლონი უშველაფერს ასწავლიდნენ ხალხს  
გარდა კეშმარიტ სარწმუნოებისა.... ყოველი  
მხრისაკენ უძღვიდენ ხალხსა, ხოლო ლვთისაკენ  
კი არა... უსახულება და უკანონობა თავის  
განვითარების უწევერვალეს წერტილს აღწევს;  
მიწა და ყოველივე მიწიერით ებრაელების მაშინ-  
დელი ღმერთი... და ი იმ ღროს იორდანეს  
უდაბურ ნაპირებში, როგორც სქელ ღრუ-  
ბლებსა და ბურისში გამოსცირვალე მზის  
სხივი, როგორც ნორჩი მწვანე, რომელსაც  
უდაბნოს მოგზაური პოულობს წმიდა წყარო-  
სთან, გაისმა დიდი ხნით შეწყვეტილი ღვთიერი  
მის წინასწარმეტყველებისა: „შეინანეთ რამეორ

მთახლოებულ არს სასუფეველი ცათა". შეუწყობელ-შეუფარცებელი იყო ეს ხმა მაშინდელ გალადებულ საზოგადოების ცოდვებით გა-უქოლ ხმაურობასთან. აქ სრულიად დაივი-წყეს ღმძრო, წინასწარმეტყველი კი სინანუ-ლისაკენ იწვევს... აქ პაერიც დიდების მოყვა-რეობით, ხორციელი სიტებოებისა და განცხ-რობითი ცხოვრებისაკენ გიური მასწავებით არს გაედგნოთილი, წინასწარმეტყველის ხმა კი ციური სასუფევლისაკენ უთითებს: „მთახლოვე-ბულ არს სასუფეველი ცათა". აქ პარადი კე-თილ-დღეობის და ბეღნიერების იქით ყოვე-ლივს ბნელი ზეწარი აქვს გადაფარებული, იორდანეს ნაპირებზე კი გაისმის: „ვისაც თრი საცმელი აქვს, მიეცი ვისაც სულ არ აქვს, ვისაც აქვს საკმელი, ეგრეთვე მოიქცი აქ მხო-ლოდ სიძღლილი იულდენ მოყვისის, წინასწარ-მეტყველი კი მოუწოდებს: „ნურვის შეურაც-ყოფთ და ცილსა სწამებო",

გაისმა თუ არა წინასწარმეტყველის ასეთი ხმა, შეინძრა და აბობოქრდა მთელი პალე-სტრინა... იორდანეს ნაპირებისაკენ, ხალხის სიმრავლე ჭაიძრა. მიღიოდენ ყოველი მხრი-დომ... მიღიოდენ ფარისევლები და საღუკვა-ლები, მიღიოდენ ბრძენი და მეცნიერ-მასწავ-ლები, მიღიოდენ უბრალო ხალხი, მიღიო-დენ მეხვერეები, მიღიოდენ რომის მხედრებიც კი... მეური, სასტიკი, მოურიდებელი, სულის და გულის შემცყრბი იყო წინასწარმეტყველის ქადაგება. ცუცხლივით სწვევდა ის მსმენელთა გულს. მას არ ერიდებოდა არაფრისა და არა-ვისა... ყველის ეუბნებოდა ის მკაცრ სიმარ-თლეს, ცოდვილს, ვინც უნდა ყოფილიყო ის, საშინელის სასჯელით ემუქრებოდა. „ნაშობნო იქედნეთინ, ეუბნებოდა ის ხალხს, უფრო ხშირად კი ფარისევლებს, ვინ გაუწყა თქვენ სიცოროლვი მომავალი რისხეისა". მეზვერე-თავის მოთხოვდა ის ხალხის დარბევის შეწ-უვეტის, ე. ი. მხოლოდ განწესებული ხარჯის აკრეფის; „ნურვის შეურაცყოფთ და ცილსა სწამებო, დასჯერდით დაწესებულ სისიდელს" არიგებდა ის რომის მხედრების; „შეინანეთ, შეინანეთ, უკუგდეთ ცოდვებით აღსასესე

ცხოვრება, შეიგნეთ, რომ თვინიერ ცისა და ლეთისა. სიყვარულისა და თანახმობისა, არა-როი ასე ცხოვრება"; შეიგნეთ ყოველივე ეს და ნიშნათ ასეთი შეგნებისა და სინანულისა ნა-თელ იღეთ... ეუბნებოდა ის ყველის.

დიადი იყო ცხოველ-ყოფელოება მქა-დაგებლის სიტყვისა... მის წინაშე ქედს იჩრის ფარისეველთა სიამაყუ, მედიდურება და ამვარ-ტავნება... ის ალხობს და თბობს ბიწიერებით გათოშილ-გაყინულ გულს მეხვერეთა და ცო-დვილთა. წარმოიდგინეთ რომის უხამისი და მოუხეშავი მხედრები! იმათ ხომ მარტო ხმალი და ისარი იულდნენ; მათი საქმე ხომ მტყუანის და მართლის ჭრა და ჩეხვა იყო, იმათი ცხოვ-რების მიზანი ხომ კვლა და ელეტვა იყო! მაგრამ მქადაგებლის სინანულის ცრემლებში ამოვლებული ისარი მათ გულის სიღრმემდისაც კი სწვდებოდა, აჩჩილებს და ატოკებს მათ. თავის ისარზედ დაბჯენილნი მხურვალე ცრემ-ლების ფრთველით მიღიოდენ ისინი იოანესთან, ალიაზებდენ ცოდვებსა და ინათლებოდენ. თელი პალესტინა იხალი სიცოცხლის ბრწყინ-ვალე სხივმა გააშუქა, ქვეყანას ახალი ცხოვრე-ბის მთახლოვების სიომ დაპბერა!..

ქადაგება სინანულის შესახებ და ნამდვი-ლი შენანება თავის ცოდვების ყოველი ქრის-ტიანის განუყრელი თანამგზავრი უნდა იყოს სიყრმიდებან ვიდრე კუბოს ფიცრმდე. მაგრამ, როგორც კერძო კაცის, აგრეთვე თელი საზო-გადოების და ერის ცხოვრებაში არის ისეთი ხანა, როცა სინათლის ქადაგება განსაკუთრებით სა-კიროა, როცა სიკიროა წახრილისაკენ ფხი-ზელი თვალით გადახედა, აწმყოს ღრმათ და კერძოვება, აწონდაწონვა. აწინდელი დღენი ჩვენი ცხოვრებისა სწორეთ ასეთი ხანის ბე-ჭედს ატარებენ. იოანე წინამორბედის დროინ-დელ საზოგადოებრივ ტეივილებს ბევრი რამ საერთო აქვს ჩენი დროის საზოგადოებრივ ტეივილებთან, განსაკუთრებით სარწმუნოებრივ სფეროში...

ვისაც ჩვენი ერის ცხოველ-ყოფელობა სწამს და საღი ეროვნული პრობლემის თვალ-

თა ხედვის ისარით განსკვრეტს და გაზომავს  
ქართველი ხალხის დღვეუნდელ ეროვნულ მა-  
ჯის ცემის, ის შემჩნევის, რომ მაჯის მთავარი  
ძარღვი, — სარწმუნოება და მისი დამცველი —  
შემნახველი ეკლესია, — საგრძნობლათ დაზიანე-  
ბულია. ძაფები, რომელიც ქართველ ხალხს  
ეკლესიათან აერთებენ, თუმცა თელით დაწ-  
ყვეტილი არ არის, მაგრამ ძლიერ კი დასუს-  
ტებული. ის შემცნება, რომ ქრისტიანული სარ-  
წმუნოებით დაიწყო ქართველი ხალხის ისტო-  
რიული განთიაღი, ეგვე სარწმუნოება იყო  
მის სახელმწიფოებრივ და ეროვნულ განვითა-  
რების სანგრძლივ მსვლელობაში ტონის მიმც-  
მი და მანათობელი ვარსკვლავი, — რომ ის არის  
მისი სულიერი საუნჯის უძვირფასები განძი, —  
ყოველივე ეს დღეს რევეს განიცდის, და ეს  
რევე საშიში მუქარაა ჩვენი მომავლისთვის, ის  
დამოკლის მახვილეობით თავს დასტრიალებს  
ჩვენ ცხოვრებას, სუინქსივით გადმოყურებს  
მას და მრისხანეთ ეუბნება: მიცან, თორებ  
შთაგნთქამ. ვინ უნდა იყოს მებაირახტრე ამ  
გამოცნობის და გამორკვევის საქმეში! რა ოქმა  
უნდა, ქართველი სამღვდელოება. ეს სამღვდე-  
ლოება ერთხელ შეეცადა კიდევ ეკლესიური  
ცხოვრების თავის ბუნებრივ კალაპოტში ჩა-  
ყენებით სარწმუნოების შესაფერ სიმაღლეზე  
დაყენებას, მაგრამ მისი ასეთი ცრა არ დაგვირ-  
გვინდა შესაფერი ნაყოფით, რაღაც ეკლესიის  
გული — ხალხი — არ აღმოჩნდა მის გვერდით ამ დი-  
ად ეროვნულ საქმეში; ის ერთობ დიდ მანძილზე  
დაშორებულა სამღვდელოების ისე, რომ არც  
კი გაეგო ამ უკინისენების. ამ შრატე გაკვეთოლით  
ეხლა ფართოთ უნდა ისარებლოს სამღვდე-  
ლოებამ და ეცადოს ჩინგრეული ხიდის აღდგე-  
ნის. ერთ მძლავრ საშვალებათ ამისთვის ჩვენ  
მიგვაჩნია ეკლესიის დღეს დაღუმებული კათ-  
ონის განცხველება სინაულის, გასწორების,  
და გამოტხოვლების ქადაგებით. დიახ, საკირთა-  
შვილისტიანული სიყვარულის ცოცხალმა სიტ-  
ყვაზ თვის შესაფერი ალიგი დოკიროს მღვდლის  
სამსახურში... საკირთაშინარბეგისებური  
ცხოველი ქადაგება, ქადავება. სიმართლის და  
სიყვარულის უცხლოთ აღგზნებული, თორებ

ისტორიული მსჯავრი საჩრდინოების გარეობრივი გარეუნიონის დამინებისათვის ჩეცნუ ისეთხვევა სამარტინი ბოძე ავგავრავს, ომელზედაც ეპრაელების ფარისევლები და მწიგნობრები არიან მკრავლნი.

ମେ. ଲୁହ - ଶ୍ରୀ କୁମାର

საელვფელოების საკურადღებოთ.

ରୂପାଳୁ ଯୋଗିଥିଲେ, ତ୍ଵାତ୍ମକ ଜ୍ଞାନଶାସନ  
କ୍ରେଦିତ ପାଦମ୍ଭାବମୁଣ୍ଡଳୀ ୬୦ ଲେଖା ଓ ଲେଖା ମେ-  
ତ୍ରିରୂପାଳୁ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଉଚ୍ଛବିତ ହେବାରେ ଏହାରେ  
ବାହିନୀମୁଣ୍ଡଳୀ ପାଦମ୍ଭାବମୁଣ୍ଡଳୀ ମାନିବୁ ରାଜକୀ-  
ଯେବା, ରାମ ଏହା ରାଜକୀଯରେ ଉଚ୍ଛବିତ ହେବା  
କୁନ୍ତରେ କ୍ରେଦିତ ପାଦମ୍ଭାବମୁଣ୍ଡଳୀ, କରୁଥିବା ମନ୍ଦରାଜା ପ୍ରମାଣି-  
ତ ମନ୍ତ୍ରମୁଣ୍ଡଳୀରେ ଉଚ୍ଛବିତ ହେବା ମାନିବୁ  
କ୍ରେଦିତ ପାଦମ୍ଭାବମୁଣ୍ଡଳୀ ୬୦ ମାନିବୁ, ଯାରୁ ଏହାରେ ଏହା  
ଶାଶ୍ଵତ ପାଦମ୍ଭାବମୁଣ୍ଡଳୀ କ୍ରେଦିତ ପାଦମ୍ଭାବମୁଣ୍ଡଳୀ ଏହା  
କ୍ରେଦିତ ପାଦମ୍ଭାବମୁଣ୍ଡଳୀ ଏହାରେ ଏହାରେ ଏହାରେ

## რედაქციისაგან.

յև პირველი ნომერია შინაურ სიქმედისა,  
რომელიც საკუთარ სტამბაში დაიტვება. ბო-  
ლიშვ ვიხდით მეოთხელებთან, რომ გახეთის  
დროზე გმოცემა შევვიფერხდა სტამბის მიხე-  
ზის ვიძო. რომ დაკარგული დრო ავანაზღა-  
უროთ იძულებული ვართ, ეს ნომერი და მომია-  
ლი არიც გადიდებული გამოცეც. შემდეგში  
ნომრები კი უკილებლივ თავთვის დროზე  
დაურიგდება ხელის მოწერლებს. ჩედაქანი  
გულოთად მადლობას უცხადებს იძერთის სამ-  
ლელელებს და განსაკუთრებით მის წარმომა-  
დგენლებს მე 53 სიცარისი კრებაზედა ყოვლად  
სამღვდელო ვითრებს, რომლებმაც ასეთი შეურ-  
ვალე მონაცემი მიღებული იყო სტამბის შეძენის  
სამშეში. რეზაქცია ამ დაიგრენებს ამ ხელოს

და ეცდება გამართლოს მისი მეუფებისა და იმე-  
რეთის სამღვდელოების ნიღბა.

## კვირიდან-კვირამდე.

ნამდევილი წყაროებიდგან შევიტყვეთ,  
რომ სინოდის კონტრას გელათის არქიმან-  
დრიოტ-წინამდლვრის აღვილი გაუუქმდის და მთ-  
ნასტრის მართვა-გამგეობა ყოვლადსაძლვდელო  
გორგოსტვის მიზნულია.

მონასტრის ბლალობინმა არქიმანდრიოგმა  
ნესტორმა ბლალობინობაზე თავისუფლების ქა-  
ლალი შეიტყო. ყოვლადღსამლელელო გიორ-  
გის განკარგულებით სიირმის მონასტრის ბლა-  
ლობინათ დაინიშნა ბლალ. დეკ. რ. გულბანი,  
ჰელიშის—ბლალ. ს. ჰელიშ, მლეომის დედათა  
მონასტრის—ბლალ. მლ. ი. წერეთელი, მათხო-  
ვის დედათა მონასტრის—ბლალ. მლ. ს. დეკო-  
ძე, ხოლო მონასტრები გელათისა და მოწამე-  
თის მისმა მეუფებაშ თავის განკარგულებაში  
დასტურეა.

ყველადამღვდელი სოხუმის კიბეკოპ-  
სის ანგრძის რედაქტორიბით ქ. სოხუმში ამ  
წლის 1 იანვრის რიცხვიდან გამოდის სამისიო-  
ნერო გაზეთი „თანამშრომელი“ „Сотру-  
дникъ“ საეთოვე სამისიონერო გაზეთი გამო-  
სული თბილისშიც შისიონერ და პლატო-  
ნიდას რედაქტორიბით.

სამლევდელო კინდიდატების არჩევნების  
მოსპობაზე ისე ჩინორი, ერთი ვიშეც ამიგვის წა-  
მოსკურინი. ეს ან იმსა ნიშნავს, რომ ყველანი  
თანამშრი არიან მის უსარგებლობაში, ან და  
იმსა რომ ჩვენი მოღვაწეები უკრ რიგათ არ  
დაფილდევთ სიკეთესო საჭირობს.

ქუთაისის საკრებულო ტაძრის შემოლობა  
ვის საქმე ჯერ კიდევ ვერ მორთეს, თუმცა  
როგორც ამბობენ, საჯარო ვაჭრობის მოხდა და  
იჯარიდარიც გამოჩნდა, რომელიც ლირებულ  
ფასებში აკეთებდა. იმედი გვაქვს ამ საქმეს დი-  
დხანს არ დააყონდება და მორწმუნე გული არ  
აუფოთდება იმ სიბნეჭრისაგან, რომელსაც  
ტაძრის გარშემო ეხედავთ.

შესახებ თვილისის სემინარიის ქველი შე-  
ნობისა უწ. სინოდს განკარგულება მოუხდენია,  
რომლის ძლითაც ნახევარი შემოსავალი შენო-  
ბისა ახალი სემინარიის შენობაში გასულ ხარჯის  
დასაფარავად უნდა წავიდეს, ხოლო მეორე ნახე-  
ვარი აღვილობრივ საეკლესიო ხაზინის განკარ-  
გულებაში რჩება.

მ-მოკლე ხანში შეუდგებიან ღვთივებან-  
სვერებულ ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპის-  
კოპონის გამრიცელის ქაღაგებათა გამოცემას  
მისი სურათით და ბიოგრაფიით. წიგნი ორ  
ტომათ იქნება გამოცემული და თითოეული  
ტომი ელიტება დახახლოებით არა უმცირეს ექვინ  
აბაზისა. ეს გამოცემა ყოვლადსამღვდელო გი-  
ორგის აზრით სავალდებულო უნდა იქნეს ყვე-  
ლა იმერეთის ეპარქიის ეკლესიებისათვის. იმე-  
დია ასეთსავე განკარგულებას მოახდენენ ყოვ-  
ლად სამღვდელონი ლეონიდე და ანდრეა, და  
აგრეთვე მისი მაღალ-ყოვლადუსამღვდელოებო-  
ბა საქართველოს ექსარხოსი ინკუნტი, რად-  
გან განსვენებულის ქადაგებებს იქცი დიდი გავ-  
ლენა და პატივი აქვს დამსახურებული. გამო-  
ცემის წმინდა შემთხვევალი ივტორის ანდრეტის  
ძალით დანიშნულია ქუთაისის სასულიე-  
რო სახტავლებლის ღარიბ შეკირდოათვის. კი  
კისაც სურს შეიძინოს ეს გამოცემა კურიო-  
სტი იქნება „შინაური საქმეების“ ჩედაქცი-  
ს აცნობებდეს, რომ საჭირო ვარაუდი დაი-  
კავთ გამოცემის რაოდენობაზე.

სარატოვის ეპისკოპოსი გერმოვენი თანამ-

დებობილგან გადააყენეს და მოსასვენებლათ გაგზავნეს ერთ-ერთ მონასტერში. რა თქმა უნდა, გერმოგენის სრულებით არ უნდოდა მოსასვენება, მაგრამ პირიდი სურვილი რას აკეთებს. სინოდს უნდოდა მოქმედებია თავიდგან აბეზარი კანონისტი წევრი და მოქმედი კიდეც, ასე ხსნიან ამ ფაქტს რესული გაზეთები. ასეთოვე ბედი ეწია ილიოდორსაც. რომელსაც, როგორც იქნა, ჩამართვეს ცარიცინი და მოსასვენებლათ გაგზავნეს. როგორც გაზ. „Y. P.“ გვაუწყებს უნდართმა პოლიციას ებრძნა, ილიოდორი დაიჭირონ, სადაც უნდა ნახონ გარეშე მიჩნილი ბინია, და წარუდგინონ ხარატვის გუბერატორს.

15 იანვარს ალექსანდრე ნეველის ლავრაში იყურთხეს არხიმანდრიტი ანტონი (გორგაძე) კურთხევის ინგლისელი ეპისკოპოსები და სტრინგ, რომელებიც პეტერბურგს ესტუმრენ.

სათათბიროს კომისიის, რომელსაც მარლმადიდებელ ეკლესის საქმე აქვს ჩაბარებული, სასურველად უცნია სრულიად რუსეთის საკულტო კურაზე.

როგორც გავიგეო ალავერდის ეპისკოპოსს დავითს სინოდის კონტორის წევრობისთვის თავი დაუწებებია, მის იდგილზე გორგს ეპისკოპოსი ანტონი დაუნიშავთ, რომელიც უკვე დაბრუნებული პეტერბურგიდან.

„კორპერაცია“ გამოეიდა და გაეგზავნა ხელისმომწერლებს ეურნალ „კორპერაციის № 20“ შემდეგის შინაარსით: 1) მოწინავე: საკომისარის ლიგა, — ი. გ. იასი, 2—3) გამოხენილ კომისარობოების სურათებით (შეუცველის, მიმღებათ; 5) „შვილო, წონაში მუსუტეულებისა!“ — საკომისარის ესკიზი, გრ. სიკრისის კანდელისა, 6) ლექსი, კ. თავის შეკრისა; 7) წვრილი კურთხულის ისტორია რუსეთის;

ში, — თ-დი ზ. მიქელაძისა; 8) საკომისარის მოძრაობა გერმანიაში, — დ. ლ—ძისა; 9) ქალაქი და ხალხი, — თ. ღონიშვილისა; 10) სახალხო ბანკი ტალიაში, — გ. ხრისტიანისა; 11) კომპერაცია ჩვენში („რა არის საკირო კრედიტით სარგებლობისათვის“, — წვრილი კრედიტის ინსპექტორი თ-დ ზ. მიქელაძისა); 12) მომდინარე საზოგადო-ეკონომიკური ცხოვრება და სხ.

ეურნალი ეგზავნება მხოლოდ ხელის მომწერლებს. რედაქცია თხოვს მსურველებს დროზე გამოიწერონ ეურნალი.

### ლექციები კორპერაციაზე.

კომპერაციის რედაქციამ გამოჰყო თავის წრიდონ სალექციო და საინსტრუქტორო კომისია. იმ საკრედიტო ამ სხვა მხანაგობაში, რომელსაც სურს ლექციის უფასოთ გამართვა ხალხისთვის, უნდა გამოუგზანოს „კომპერაციის“ რედაქციას (ქუთაისში) 15 მანეთი, თუ მისვლა-მოსვლისთვის საკიარისია დღე-ნახევარი (36 საათი) და გზის ხარჯები. ლექცია ბუნდოვან სურათებით ოცი მანეთი. როგორც გავიგეთ, წვრილი კრედიტის ინსპექციას განზრახული აქვს მიმღებარე წლის პირველ ნახევარში გახსნას მთელი რიგი ამხანაგობებისა. ამიტომ სასურველია ლექციების გამართვა სოფლებში და ვურჩევთ სასულიერო წოდების წარმომადგენლებს მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში. საკრედიტო ამხანაგობებში სასულიერო წოდებას არ ეყრდნობა მონაწილეობის მიღება, პირ-იქით, ეს სასურველია ცნობილი.

ამ ნომერთან ერთად ჩვენ ხელმომწერლებს ეგზავნება „კომპერაციის“ № 18-ის სურათებიან დამატება, რომლილიც მკითხველი აშენიად დაინახავს, თუ რა ძალის წარმოადგენს კომპერაციის დღესაც და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას ჩვენი ხალხისთვინაც. კუსურვებთ ამ ეურნალს — რომელმაც უკვე დამსახურა საერთო თანამდებობა — ფართო გავრცელებას.

**ლექციები კოოპერაციაზე.** მომავალ კოოპერაცია „კოოპერაციის“ რედაქტორი წაიკითხავს ლექციებს შემდეგ აღვილებში: აბაში—30 ანუ., ზუგდიდში—1 და 2 თებერვალს, სოხუმში—4, ხოლო გუდაუთში 5 თებერვალს.

რას ამბობენ მოსკოველი ქანონისტები ბერძოლის საქმის შესახებ?

#### კრიზ. 6. დ. კუცხველოვანი

ნაფიცმა ვექილმა ნ. დ. კუჭნეცოვმა, რომელმაც ახლახან დაიკირა კანონისტები უფლებათა კათედრა მოსკოვის აკადემიაში და რომელსაც ახლო დამოკიდებულება აქვს მიტროპოლიტ ვლადიმერთან ასეთი აზრი გამოსთხავა:

— სინოდის ბრალდება მწვალებლობაში, ჩემი აზრით, ყოველ მნიშვნელობას ართმევს გერმოგენის გამოლაშქრების სინოდის წინააღმდეგ. შეიძლება ვილაპარაკოთ ჩვენი სასულიერო მართველობის ბიუროურატობაზე, იმაზე რომ იგი არ ეთანხმება ძველი კანონების მოთხოვნილების, მაგრამ მის მწვალებლობაზე ლაბირინ უკეთეს შემთხვევაში ცნებების არჩევა, რაც არ შეეფერება ეპისკოპოსს. ან კი რაში გამოიხატება სინოდის მწვალებლობა? უთუთ, უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ სინოდი შესაძლებლათ მიმნია დიაკონისის განსასღებულ ხელობათ 40 წელიწადზე ნაკლები, რაც (40 წელიწადი) დადებულია ძველი კანონებით. მაგრამ ეპ. გერმოგენის ყურადღება უნდა მიექცია ტრულის კრების მე 40 მუხლისათვის. იქნდგან ცხადათ სჩანს, რომ საკითხი ხელობაზე უნდა გადაწყდეს ეკლესიურ ცხოვრების პირობების მიხედვით, მოციქულის პავლების ხელობა ხომ 60 წლით განსაზღვრა კრები კი 40 წელიწადი დადგინა, მიტრ, რომ, როგორც ტრულის კრებამ განმარტა ეს, ეკლესის მდგომარეობა შეიცვალა, და მოციქულის

კანონის ასეთი შეცვლა, არაფერ სახითათოს არ წარმოადგენდა.

ეკლესიურ ცხოვრების მოწესრიგების საკითხებში, მეშვიდე კრების მაგალითისამებრ, უნდა ვარჩევდეთ დოლმატიურ საყითხებს დისციპლინარული საკითხებისაგან, და თვით კანონთა შორისაც უნდა გავარჩიოთ ისეთგი, რომლებიც შეეხებიან ეკლესიურ ცხოვრების არსებას და ისეთებიც, რომლებიც შეეხებიან მის მეორე ხარისხოვან წეს-რიგს, რომლებიც გამოწვეული იყვნენ მაშინდელი გარემოებით. ამ შემთხვევაში კარგი გვახსოვდეს მსწავლელ პროფ. ბოლოტოვის შენიშვნა, რომელიც კეშმარიტი მართლმადიდებელი იყო: „ის რეფორმა, რომელიც შეესაბამება აღებული დროის მოთხოვნილობას და რომელმაც თავისი არსებობა ფაქტიურათ კი შედეგებით გაამართა, უკეთ კანონიერი რეფორმა, თუნდაც არც ერთი მსგავსი მოვლენა არ ყოფილიყოს ძველათ.

დასასრულ ეპ. გერმოგენი წინააღმდეგია სინოდისა სხვა სარწაუნოების აღმსარებელ მიცვალებულის სულის მოსახლეებელ ლოცვების შედეგების თაობაზე. როგორ, მისი აზრით, ნუთუ ცოლი და შვილები მოკლებული უნდა იყვნენ საშვალებას ილოცონ თავის გადაცვალებულ ქმარ ან მამა კათოლიკეზე, ან პროტესტონტეზე! ეს საკითხი კი ხანია მოწიფებულია რუსეთში, და ძალიან კარგი, თუ სინოდმა მიაქცია ამას ყურადღება, რომ ამით მოისცოს გაუგებლობა და მტერობა.

ეპ. გერმოგენი პრალს დებს სინოდს მაში, რომ მიიღო, რიგისამებრ, ინგლისელი ეპისკოპოსები და ცდილობს თავზე მთახვიოს სინოდს რაღაც ლტოლვა ანგლიის ეკლესიისთვის შეერთებისა. სინოდი არ შეისრულებდა თავის პირდაპირ დანიშნულებას, თუ არ გააცნობდა ინგლისელ ეპისკოპოსების რუსეთის ეკლესიურ ცხოვრების. თუ ეს სამსახურს გაუწევს რუსინგლისელების ერთობას სარწაუნოების ნიადაგზე, ეს თითეული მართლმადიდებლისთვის სასიხარულო უნდა იქნეს და მით უფრო ეპისკოპოსისათვის. ხოლო დღეს დღეობით იმის

ლაპარაკი, რომ სინოდი ესწრაფების შეუძროდეს ინგლისის ეკლესიას, გაუგებრობის ნაყოფია და სხვა არაფერი.

ბოლოს ეპ. გერმოგენი წინააღმდეგება სინოდს, რომელიც უთუოდ მხოლოდ საერთო მართვბლობის ბრძანებას ასრულებს და ამას ლაპარაკობს იგი მაშინ, როცა სინოდის ობერ-პროექტორის ადგილი ვ. კ. საბლერს უპირავს, რომელიც მთელი სულიოთ და გულიოთ ეკლესიის მომხრეა. ვ. კ. საბლერი ყოველთვის სცდლობს, იშრომოს იერარქების თანხმობით, ცდოლობს, გაიგონოს პირდაპირ მათი ხმა უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებაში—მინისტრთა საბჭოში, მართავს შეერთებულ კრებებს საბჭოსა და სინოდისას.

ეპ. გერმოგენის ასეთი გამოლაშქრება ვ. კ. საბლერის დროს და მასთან პირადი განრისხება ტ დაუმორჩილებლობა სინიდისადმი, რომელიც მხოლოდ ეპარქიაში დაბრუნებას სოხოვდა, მეტის-მეტი წინ დაუხედავი საქციელია გერმოგენის მხრით.

#### ართ. ი. 8. პროგრამასთავი.

მუხედავათ ჩემი უარყოფითი შეხედულებისა ეპ. გერმოგენის მოლვაწეობაზე, სინოდის საქციელი მის წინააღმდეგ მე სკანდალიურათ მიმაჩნია. ჩვენი უმაღლესი საეკლესიო მთავრობის შემადგენელი პირები მარე-პროექტორის უბრალო შოწვევით შესდგება ხოლო. უნცროს იერარქების დამოკიდებულება უწ. სინოდში მიტროპოლიტებისადმი სრული მორჩილებით განისაზღვრება, ესენი კი განავარებენ უკველი საეკლესიო საქმეებს. თუ რომელიმე ეპისკოპოსი ხმის ამილლების გამჭდივდა ისეთ მეთაურობის წინააღმდეგ, შემდეგ რიგში იგი უკვე აღარ იწვევდა სინოდში დასასწრებლათ. დღევანდელ შემთხვევაში მოხდა რაღაც არა ჩვეულებრივი მოყლენა სინოდის წევრს აძვებენ სესხის ბოლოს კი არა, მის შეაგულში. ამ ფაქტიდან შეგვიძლია დავსკენოთ, თუ რამდენათ დიდი ყოფილი ჩვენი ეკლესიის მთავრების ზოგი განრისადმი.

სხვათაშორის, ამ შემთხვევაში სინოდში დაარღვია მართლმადიდებელ ეკლესიის სჯულიერი კანონები. ეპ. გერმოგენის გასამართლება მოხდა მის იქ არ ყოფნის დროს, მშინროდესაც მართლმადიდებელი ეკლესია სრულიათ განსაზღვრულათ თხოულობს, რომ ბრალდებული მიუცილებლად დაესწროს საქმის გარჩევას. მხოლოდ შემდეგ სამ გზის დაბარებისა, თუ იგი არ გამოცხადდა, სამსჯავროს შეუძლია დაუსწრებელი განაჩენის გამოტანა. სინოდში ეს კანონი დაარღვია და მით ხელი მოაწერა თავის უკიდურეს მიმღემურობას.

საზოგადოთ მოყენება ამ საქმემ ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უმაღლესი საეკლესიო მართველობა რესეპტი ბევრი ნაკლებევნებით კოქლობს. მართლაც შეუძლებელია ნორმალურათ ჩვეთვალით ასეთი წესი, როცა ვინც კი გამედავს ხმის ამილებას, ყოველგვარ წამებას დაიტეს თვეზე.

თუმცა არ შემიძლია არ შეენიშნო, რომ გერმოგენის ყველა გამოსვლაში უფრო მეტი პოლიტიკანობა იყო, ვიდრე გულწრფელი-სურვილი ჩვენი ეკლესიის სასარგებლოთ მუშაკობისა. საქმარისია მოყვინოთ მისი მეუფების მიზიდულება მემარჯვენე ორგანიზაციებისადმი, მისი სკანდალური გამოსვლა წინააღმდეგ შწროლებისა, ორტისტებისა (კომისარეებისა), წინააღმდეგ რუსულ ცხოვრების პროგრესიულ მიმღინარეობისა. ინ სწორეთ აქ არის დამარცხული ეპ. გერმოგენის მდგრამარეობის მოელი ტრაგიზმი. სანამ იგი მუსრს ავლებდა „ლიბერალებს“, თავს ესხმოდა „მოროგო-მარენებელინტელიგენციას“, მაღალი სუერების განწყობილება მისადმის სრული კუთილსამედო იყო. მაგრამ საქმარისი იყო გერმოგენის ხმა იემალებია სინოდის წინააღმდეგ, რომ ჩვენი საეკლესიო ბიუროკრატიის დამსჯელ ხელს კოროვიკის მონასტრისაკენ გზა უჩვენებია მისოფლის.

დასასრულ უნდა ვთქვა, რომ სინოდის საქციელი ამ საქმეში ერთხელ კიდევ აღწერებს საზოგადოებას საეკლესიო კურების მოწვევის აუკრებელ საკიროებაში. ეს— ერთოთ-ერთო საშვა-

ლებაა ჩვენი ეკლესიის მართვა-გამგეობის უკა-  
ლა ნაკლის ძირიან-ფესტივანა ამოფხერისა.

დიაკონისების შესახებ პროფესორმა შემ-  
დევი აზრი გამოსთვევა:

— დიაკონისათა დაწესებულება ქრისტია-  
ნობის პირველ საუკუნეში დაარსდა. მათ მო-  
ვალეობას შეადგინდა ქალების მონათვლა და  
წესინების დაცვა საჭალებოში. როგორც  
ცნობილია ქრისტიანობის დასაწყისში ქალე-  
ბი და კაცები ცალ-ცალკე ლოცულობდენ  
ეკლესიაში,

ამ პატარა სპრავკიდან უკვე ცხადია, რომ  
ამ დაწესებულების ოღვენა ჩვენ დროში სრუ-  
ლიად მეტია. ამასთანავე სინოდს თვის უფ-  
ლებით არ შეუძლია შემოილოს ეკლესიაში  
ასეთი თუ ისეთი ახალი ჩვეულებები. სინოდი  
კინონმდებელი დაწესებულება კი არ არის,  
არამედ აღმასრულებელი და ამიტომაც მას  
თავის უფლებით არ შეუძლია აღადგინოს  
დიაკონისობა. ამ მიზნისათვის საჭიროა კრების  
მოწვევა, რომელის უფლებაშია ასეთი საკი-  
თხების გადაწყვეტა. ამ ნაირათ ამ შემთხვევაში  
გერმოგენი მართოლი იყო.

#### 6. დურნოვო.

სინოდის გადაწყვეტილებამ შესახებ. ეპ.  
გერმოგენის ეროვნულის მონასტერში დატყვე-  
ვებისა მეტათ გააოცა ნ. დურნოვო, ცნობილი  
მცოდნე რუსეთის ეკლესიის საკითხებისა.

ტიხონ ზაფონელს, ევგენ სიმბირსკელის,  
ერემია ნიკოლოზის და ოეფთანე ვლადი-  
მირელს, — სთვა ნ. ნ., რომელიც ერთხელ  
დაისაჯენ სინოდთა შეურიგებლობის გულისა-  
თვის, ეხლა გერმოგენ სარატოველი მიემარ-  
ას მას რისხა ეწია, არ შეიძლება არ გამოი-  
წვიოს სამართლისი იღმდენობა. როგორ,  
რანირაოთ შეეძლოთ მისი გასმართლება მათ,  
ეისაც იგი ბრალს დებდა? მე ხშირათ მქონდა  
მიწერ-მოწერა გერმოგენთან და ამ რამდენიმე  
დღის უკანაც ვწერდი მას უკანასკნელ ამბების  
შესახებ: „არ არის შენი ადგილი, მეუფეო, დღე-  
უნდელ სინოდალებთა შორის“... და ჩემი  
მცირე გამართლდა: გერმოგენი გავიდა მათი  
წრიდგან... ეროვნულის მონასტერში... ვე-

ლოდეთ და იმედი ვიქწიოთ, რომ იქიდგან  
ამოუბრწყინდება ნათელი მთელ წე. რუსეთს,  
როგორც გამობრწყინდა იგი ეიროვიცის მო-  
ნასტრილი 70 წლის წინათ, როცა ისებ  
ლიტველის (სემაშვილის) შეოხებით მოხდა შე-  
მოერთება უნიატებისა.

გერმოგენი არ დაიკარგება, ლმერთმა მისცა  
მას სულის სიმტკიცე, კანიკერება, უშიშრით  
აზრის გამოთქმა, იგი არ არის ანგარი, პატივის მო-  
ყვარე, — ასეთ თვისებათა მექონი აღამიანი არ იკარ-  
გება. თუ სინოდის წევრები არ აფასებენ გერ-  
მოგენს, თუ იგინი რისხავენ მას მხოლოდ  
მოსკოვის მიტროპოლიტის დამენით, ეს  
მათი საქმეა, — მათ არ მიცემია არც სიბრძნე,  
არც სულის სიმტკიცე. სინოდის განაჩენზე ხელის  
მოწერის უარი განაცხადა ერთმა მხოლოდ  
პეტერბურგის მიტროპოლიტმა. ეს გასავებიც  
არის: ის დიდი კუსის პატრონი კაცია და არ  
შეეძლო ასეთი საქმე ჩაედინა. ჩემდა საოცრად  
ამა განაჩენს ხელი მოწერა ეპისკოპოსმა ნი-  
კუნმა, მაგრამ, როგორც პეტერბურგიდან მწე-  
რენ, იგი ამის წინ დიდ რეევაში ყოფილა,  
შემდევ, როცა სინოდის კრებიდან დაბრუნე-  
ბულა, თურმე სულ ამას გაიძახოდა: „რა ვქენი,  
რას მოვაწერე ხელიო“.

თუ გერმოგენი დამნაშავე იყო, იგი უნ-  
და გაესამართლებით თანახმათ საეკლესიო  
კანონებისა არა სინოდის წევრებს ე. ი. ბრალ-  
დებულებს თვის ბრალმდებელი. ერთათ-ერთ  
სამსჯავროთ შეიძლებოდა ყოფილიყო აქ კრე-  
ბა თორმეტ ეპისკოპოსთა, რომელნიც ამ უფ-  
ლებით უნდა აღეჭურვა მთელ რუსეთის იერარ-  
ქებს. სინოდის წევრები ასეთი უფლებით არ  
იყვნენ შემოსილნი.

რას იზამ გერმოგენი? ჯერ ძნელია ამას  
პასუხი. როგორც ცნობილია გაზეთებიდამ, იგი  
ჯერ დაემორჩილა სინოდს. მაგრამ ადვილი  
შესაძლებელია მან სულ დასტოუცის მართლ-  
ბადიდებლობა. გერმოგენი წინათაც ძრილ  
მიღრეკილი იყო სტარობრიადობისადმი, ხო-  
ლო ეხლა, როცა მოსალოდნელია ელინოვერ-  
ცებს თავის საკუთარი ეპისკოპოსი ეყოლოს,  
ადვილი შესაძლებელია, მათ ეპისკოპოსთა

გერმოგენი გახდეს. რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება ის ძირითადი პირობა, რომლის შემდეგაც იგინი შესაძლებლად სოფლიან ცალკე ეპისკოპოსის ყოლის, — მათი ეპისკოპოსის დამოუკიდებლობა უწ. სინოდისაგან. რა თქმა უნდა უკანასკნელი ამაზე არ დათანხმდება, მაგრამ მაშინ, რაც სრული შესაძლებელია, ედინოვერციტი მიმართავენ აღმოსავლეთის ერთ-ერთ პატრიარქს, უფრო კონსტანტინეპოლისას, რომელიც აკურთხებს მათ არჩეულ კანდიდატს.

#### მღვდ. თ. ვ. ვასტოვავი.

მოსკოვის სამღვდელოებაში უნიბილმა ვ. ვ. ვასტოვებამ, რომელმაც უკანასკნელ მოსკოვის ეპარქიალურ კრებაზე სასტიკათ გაკიცხა საერთ მთავრობა, რომელმაც დაიმონია ეკლესია, ასე ილაპარაკა.

მე სულით და გულით გერმოგენს ვეკუთვნი: რაც იმას სასჯელი ეწია მეტი-მეტი სასტიკა. ჩემი აზრით რუსის ეპისკოპოსს ნება აქვს მიმართოს მეფეს თავის თხოვნით, და ამაში მას ხელი არავინ არ უნდა შეუშალოს. ხოლო აქ, ეპ. გერმოგენის საქმეში წინააღმდეგს ვეხდავთ. მაგრამ რას იზამ: სანამ ძლიერია პროკურატურა, რომელიც წინ ეღობება ყოველ-გვარ თავისუფალ აზრის გამოთქმას ეკლესიის საქმეებში, ყველაფერი იმავ მდგომარეობაში იქნება, სანამ თვით ბოროტების ძირი არ მოისპობა.

მე კარგათ ვიცნობ გერმოგენს, ყოველთვის თვალ-ყურს ვადევნებდი მის მოქმედებას, ორჯერ-სამჯერ კიდეც მიწირავს მასთან. ჩემსე მან ღრმა კეთილ-კრძალულ ეპისკოპოსის ჩაბეჭდილება მოახორინ და იგი ასეთიც არის არსებითად. ეპ. გერმოგენი მსვილი ერთეულია ჩემს საკულტო ძველი არალი. არადოგმატიურ დარც კანონიურ თვალისაზრით გერმოგენი არაფერშიდან ნაშავე არ არის. მისთვის ჯერ ხომ ღირსება არ აუხდიათ, ხოლო ეს ძალიან საყურადღებო. ის სასჯელი, რომელიც მან იტვირთა მომინისტრისტული თვისებისა—სასჯელი სინოდის ურჩობისათვის.

რას ჩაიდი სინოდი, როცა გერმოგენს

აძვევებს? ამით იგი მხოლოდ აცილებს ეკლესიას მის მორწმუნე კეშმარიც შეიღებს.

სინოდი აძვევებს გერმოგენს, სჯის მას, მაგრამ ეპისკოპოსის სამწყსომ იცის, რომ იგი იტანჯება თავის რწმენისათვის და მორწმუნეთა გული ყოველთვის მისკენ იქნება.

(V. P.).

ცოტა რამ ჩემი სამღვდელოების ცხოვრებიდან.

ჩემი სამღვდელოების უმეტესობა ამ ბოლო დრომდი თავს მოვალეობის მტკიცედ შემსრულებლათ თვლიდა. სულიერ მამებს თავი იდეალურათ მიაჩნდათ და დარწმუნებული იყვნ, ვითომც მათ ზენობა-გონების განვითარების მხრით ძლიერ გაესწროს თანამედროვე საზოგადოებისათვის და ამიტომ შესაბრალისი იყონ ასეთ საზოგადოებაში სამსახურისათვის. სწორეთ ამისი ბრალი უნდა იყოს, რომ ქართულ ეურნალ-გაზეთებში თითონ მღვდლებისაგან ძლიერ ცოტა დაწერილა ისეთი რამ, სადაც სამღვდელოების ესა თუ ის ნაკლულევანება დაგმობილიყოს. ამ რამდენიმე წლის წინეთ ცნობის ფურცელში მოთავსებულმა ჩემმა წერილმა „ძევლი და ახალი შეხედულება საერთოდ დაგმობილიყოს. ამ რამდენიმე წლის წინეთ ცნობის პირთა სამღვდელოებაზე და საშუალებანი ამ შეხედულების საუკეთესოთ შეცვლისა“ უკავშირდება გამოიწვია ზოგიერთ მღვდლებში, კითომც გადაქარბებული სისასტიკე გამომჩინოს მღვდლების შესახებ. არ გასულა სულ 5-6 თვე, რომ 1905 წლის მარტის არაჩეულებრივ კრებაზე ჩემ, მღვდლებმა, ისე სასტიკათ გავეკიცეთ ჩემი თავი, ისეთი ფანატიკური გატაცებით დაეგმოთ ჩემი უმოქმედობა, რომ შეგებინდებოდათ: ვით თუ ერთნაირ სჯულის აღმსარებლებსაგოთ ხელში მახვილი აიღონ და თავ-პირი ჩამოიჩეონ. კიდევ კარგი, რომ ცხოვრების ისტორიული მიმდინარეობით გამოფხიტლებულმა სამღვდელოებამ საქვეყნოდ აღვიარეთ ჩემი ნაკლულევანებები და ვალით დავდევით მომავალში მანქ ისე მოვიქცეთ,

როგორც სიმართლე და ქვეყნის საზოგადო  
ინტერესი მოითხოვს. იმავე კრებაზე სამღვდე-  
ლოებამ ინიციატივობის უნარიც გამოიჩინა  
და ვრცელი პერიოდის პირველ მუხლში ჩვენი  
ეკლესიის დამოუკიდებლობა ითხოვა. ასეა  
თუ ისე, ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ სამღვდე-  
ლოებას წინსვლა ეტყობა. ბევრი საყურადე-  
ბო წერილები იძექდება შესახებ იმისა, თუ  
როგორი უნდა იყოს ნანდვილი მწყების სი-  
ცეფერ ცხოვართა. ჩამოღვნებმე წერილი და-  
სტამბა „შინაურ საქმეებში“ შესახებ იმისა,  
თუ რანაირი საშუალება უნდა იხმაროს თვით  
სამღვდელოებამ თავის დამნაშავე წერთა გასა-  
სწორებლოთ. ამ წერილებს, ჩემი ფიქრით, ორი  
ნაკლი ემჩნევათ. ერთი რომ გარკვევით არ არის  
ჩამოვალი, თუ რა უნდა ჩაეთვალოს შეცოდე-  
ბათ ეკლესიის მსახურს და მეორე, გამსწორე-  
ბელი ზომები ვისკენ უნდა იყოს უფრო მიმარ-  
თული. მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში გამარ-  
თლდება ანდაზა — ყელას დაბალ ღობეზე ეაღვი-  
ლება გადახტომათ და ასეთ დაბალ ღობედაც  
ხომ სოფლის ისედაც დაზაგრული სამღვდელო-  
ება და ეკ. მსახურნი გამოდგებიან, ხოლო მე-  
ტრი უფლებებით აღჭურვილი ქალაქის სამღვდე-  
ლოება და ნამეტურ სოფლის ზოგიერთი თავ-  
გასული ბლადონინები კი განხე დარჩებიან.  
უნდა გიქმნიოთ სახეში, რომ სოფლის უბრა-  
ლო მდვიდეს, როგორც უფლება მოკლებულ  
პირს, შედარებით ძლიერ ურთა შემთხვევა ებ-  
ლევა უწესების ჩადენისა, თუ სახეში მარტო  
ორიოდე ჭიქა ღვინის ზედმეტათ დალევას კი  
არა მოვალეობის შეუსრულებლობის, მექრთა-  
მეობს, უსამართლოთ კაცის დასჯა-დამტკრებას  
მოიღებთ. უნდა გვიხსნეთ, რომ ზოგიერთ  
სოფლის ბლადონინებს რწმუნებული სამღვდე-  
ლოება და ეკლესიები ნანდვილ სამცემთ, სა-  
თავ დამატ გაუხდით. მათ სრულებით დავი-  
წყებით, რომ მოვალე ირის სინიდისთ ემსა-  
ხურობ თვის დანიშნულებას და მარტო საკუ-  
თარი ჯ და უკეთ იხსოვთ, რომ ჩემი ნათ-  
ები ლიტონ სიცვათ არის მიიღოს დავი-  
წყებით ერთი ბლადონინის წევობრივ სახეს,  
სრული დარწმუნებით, რომ მასი მსგავსი სხვა-

ბეც-იქმნებიან ესრეთ წოდებულ ბლალოჩინებ-  
ში. პირადათ კი მე მას არ დავიხსხელებ, თუ  
თითონ ერთი ქურდივით ქუდს არ იტაცა  
ხელი.

ზემო იმპრესიის ერთ კუთხეში „ბლალო ჩინობს“ —, ან ჩვენებურათ რომ ვსოდეთ „კუთილმოწევეობს“ ერთი მოძღვარი, რომელმაც დიდყაურ ცხოვრებასთან 20—25 ათასი მანერის ქმნება შეიძინა, თუმცა მა ბოლო დრომდი არც სახაზინო ჯამიგირს, 300 მანერს; დებულობდა და თვალს მტორე მრევლში კი თავისუფლებისათვის აგერ აქამდი თანა შემწე მღვდელი ყავდა დაქირავებული. საიდან შეიძინა ამ მოძღვრება ამოდენი ქმნება, როდესაც მისი მეზობელი ერთი ორათ უფრო ვრცელი სამრევლოების მღვდლები დაკანკილ ანაფორებით დადგინდება. ამაზე პასუხის მიცემა, გარდა საზოგადოთ ბლალოჩინთან რაიმე საქმის მქონე პირთა, მიგვინდვია მისგანვე დამონავებულ მღვდელოდიაკონ-მღვდევითნეთა და სასულიერო წილების იმ ქვერივ იძლლოთათვის, რომელთაც სამოწყოლოთ გამოსული ფულების უმეტესი ნაწილი „საშრომელში“ ქარჯებათ ხოლმე. ამ თვეგასულმა მამამ ესეც არ იქმარა და რამოდენიმე ნანდვილ ყაჩაღური საქმე ჩაიდინა: ჯერ იყო და მისი ჩაგონებით რამოდენიმე მღვდელმა აიკვირტა: მ. ბრალოჩინს ძვირფასი ქვითკირის შენობა აუშენოთ და ამ შენობის დარბაზში სხდომა გავმართოთ ხოლმეო. საქმე სისრულეში მოდიოდა, მაგრამ მ. ბლალოჩინმა იფიქრავი თუ ნიკოლებათ გათახსირებულმა სამღვდელოებამ ჩემი გუნების სახლი ვერ ამზრნოს, ტკილი ეხო მომიცელთოს და ისევ თვეს „კორილშეძენილით“ არჩა სახლის აშენება. არ გასულა დიდი ხანი, რომ ბლალოჩინის ერთმა მონა-მოსახურე მღვდელმა ისეთი ეჭისტოლეჭათ მიძართა მღვდლებს: „ყველა კარგათ უწოდთ ჩენ მშვიდ, წყნარსა და გულვეთილ ბლალოჩინს მ. ა. ს. მოდი ძებონ და მამებო, დავითისკოთ მიხი კარგი კაცობა და ნიშნად ჩენი მისდამი მორჩილება. ერთგულებისა მივითვათ მას ჯილდოთ ძვირფასი იქმოს მეტობის ჯვარი. მე ჩემის მხრით შემომიარნია ამ

კეთილი საქმისათვის ერთი თუმანი". ამ წერილშია ჩამოიარა საბლალობინო ოლქი და თორეულმა ეკლესიის კრებულმა, წინააღმდეგ სურვილისა და ნივთიერი ხელმოყლეობისა, თითო თუმანი გადაიხადა. უარი მხოლოდ ორმა „თავზე ხელალებულმა“ მღვდელმა გაბედა, რომელთაგან ერთმა სულ იმ არემარის მოცილება ამჯობინა, მეორეს კი მ. ბლალობინმა თავისი განკარგულებით მცირე ჯამიგორიდან ერთი თუმანი გამოურიცხა. ამ კეთილი საქმის მოთავე მღვდელი ბლალობინის წარდგინებით დაჯილდობულ იქმნა ბედენიკით. არ გასულა დიდი ხანი და ახლა მეორე მღვდელს აღეძრა საღერღელი იმავე ბლალობინის დასაჩუქრებით ჯილდოს მიღებისა. ამანაც კარგა ძალი გროშები ააფუქნა სამღვდელოების ერთ ნაწილს, და ამ ფულით ვითომც მთელი ოლქის სამღვდელოების სახელით, ბლალობინს მშვერინები აქროში დატერილი ჯოხი მიართა და თითონ კი თავზე იარაღინინი წამოისუა. იყითხავთ რატომ სამღვდელოება არ წინააღმდეგა ბლალობინის სერთ თავგასულობას? რითო, ბატონები, როდესაც ჩვენ უწყებაშიაც გამეფებული არის ერთი გრიბედოვის მოლჩალინისებური მონაბა და მეორეს გოგოლის რევიზორისებური თავგასულობა, რომლის წყალობით სოფლის სამღვდელოება სწორეთ სათმაშო რამ გამზდარა ზოგიერთი ბლალობინებისათვის. ანდაზისა არ იყოს, ძლიერთან უძლური ყოველთვის მტკუნანია და ბლალობინიც ხომ ძლიერი, უფლებით აღკურვილია და, თუ უშეცრება—უსინდისობაც ხელს უწყობს, ყოველთვის შეიძლებს თავისი ხელქვეითის დარცეს, დაჩაგვრის და დახჯასაც. ზოგიერთი ბლალობინების თავგასულობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ის ყოველწლობით ადგენს საკრებულო უწყებებს, სიდაც თავისი შეხედულობით უწერს კრებულის წევრებს ნიშნებს ყოფაქვევაში და თან თღნიშნავს, კინ როგორ იყოს სავალდებულო საგნები, როგორ ასრულებს თავის მოვალეობას, რამდენი საკუთარი სიტყვა წარმოსთქმა წლის განმავლობაში განვითარდა. ეს წლის განმავლობაში გადაიცვა კრებულის მიხედვით, რომ არის არის არის, რადგან სოფლის სამღვდელოებას მთავრობა ამ ცნობების მიხედვით იცნობს და აფასებს. რომ ამ შემთხვევაში ზოგიერთი ბლალობინების თავგასულობა წრეს გადასულა, ამის მაგალითები ბევრი იქმნება, მაგრამ მე ჯერ ერთ მაგალითს მოვიყენ ზემოთ აღწერილი ბლალობინის უკეთ დასასურათებლით. ერთი მისი საბლალობინოს მღვდელი ხაკრებს. უწყებებში ყოველთვის წარჩინებული ყოფაქვევის იწერებოდა, სავალდებულო საგნები წარჩინებულათ იცნდა, თავის მოვალეობას წარჩინებულათ ასრულებდა და ყოველწლობით საკუთარი კუუა-გონების შეთხრულ 30-40 ქადაგებას წარმოსთქმდა. ამ მღვდელმა, მისდა საუბედუროთ, საბლალობინო კვერთის ყიდვაში მონაწილეობის მიუდებლობით, თუ რადა სხვით, მ. ბლალობინი გაიწყობა და ამიტომ იმავე წლის საკრებულო უწყებების ჩვენებით წარჩინებულის მაგირ ძალიან კარგი ყოფაქვევის შეიქმნა, სავალდებულო საგნების ცოდნასა და მოვალეობის შესრულებაში კარგი გახდა და ეკლესიაში კი 30-40 ქადაგების მაგირ სიტყვაც აღარ წამოცდენა! რომ დიდათ დაჯილდოვებულსა და პატივუმულ ბლალობინს გული არ დასწერს, ერთ მაგალითს მისი უნკროსი თანამშის ცხოვრებიდნაც დავასახელებ. წასული 1910 წ. საკ. უწყ. მაისის ნომერში დაჯილდოვებულთა შორის ერთი ჩემი ნაცნობი მოხუცებული მღვდლის სახელი და გვარი ამოვითოხე. როცა შეხვდერის დროს დაჯილდოება მიულოცე, მოხუცმა გულ-დათუთქულათ, თითქო ტირილს გვირებაო, მომიგო; „რისთვის მილოცავ, მამო! ნერავი მის დღეში არაფერი მენახა, თუ ჯილდოს მიღება ის დამსჯიდა! ეს ჯილდო უბლალობინოთ მივიღე. ადღეგრძელოს ღმერთმა ჩვენი ყოველად სამღვდელო. შეხედა ჩემს მცირე პრომის, ჩემს მოხუცებას და დამაჯილდოვა. ეს ბლალობინმა

ნენ ზოგიერთი ბლალობინები და თეთრი შევით გამოყავთ. შევით გამოით, იმის მიხედვით, რასაკირველია, თუ კინ არის მათი ერთგული მოსახურე და კინ არა. მნიშვნელობა საკრებულო უწყებებში ჩაწერილი ცნობებისა კი დიდი არის, რადგან სოფლის სამღვდელოებას მთავრობა ამ ცნობების მიხედვით იცნობს და აფასებს. რომ ამ შემთხვევაში ზოგიერთი ბლალობინების თავგასულობა წრეს გადასულა, ამის მაგალითები ბევრი იქმნება, მაგრამ მე ჯერ ერთ მაგალითს მოვიყენ ზემოთ აღწერილი ბლალობინის უკეთ დასასურათებლით. ერთი მისი საბლალობინოს მღვდელი ხაკრებს. უწყებებში ყოველთვის წარჩინებული ყოფაქვევის იწერებოდა, სავალდებულო საგნები წარჩინებულათ იცნდა, თავის მოვალეობას წარჩინებულათ ასრულებდა და ყოველწლობით საკუთარი კუუა-გონების შეთხრულ 30-40 ქადაგებას წარმოსთქმდა. ამ მღვდელმა, მისდა საუბედუროთ, საბლალობინო კვერთის ყიდვაში მონაწილეობის მიუდებლობით, თუ რადა სხვით, მ. ბლალობინი გაიწყობა და ამიტომ იმავე წლის საკრებულო უწყებების ჩვენებით წარჩინებულის მაგირ ძალიან კარგი ყოფაქვევის შეიქმნა, სავალდებულო საგნების ცოდნასა და მოვალეობის შესრულებაში კარგი გახდა და ეკლესიაში კი 30-40 ქადაგების მაგირ სიტყვაც აღარ წამოცდენა! რომ დიდათ დაჯილდოვებულსა და პატივუმულ ბლალობინს გული არ დასწერს, ერთ მაგალითს მისი უნკროსი თანამშის ცხოვრებიდნაც დავასახელებ. წასული 1910 წ. საკ. უწყ. მაისის ნომერში დაჯილდოვებულთა შორის ერთი ჩემი ნაცნობი მოხუცებული მღვდლის სახელი და გვარი ამოვითოხე. როცა შეხვდერის დროს დაჯილდოება მიულოცე, მოხუცმა გულ-დათუთქულათ, თითქო ტირილს გვირებაო, მომიგო; „რისთვის მილოცავ, მამო! ნერავი მის დღეში არაფერი მენახა, თუ ჯილდოს მიღება ის დამსჯიდა! ეს ჯილდო უბლალობინოთ მივიღე. ადღეგრძელოს ღმერთმა ჩვენი ყოველად სამღვდელო. შეხედა ჩემს მცირე პრომის, ჩემს მოხუცებას და დამაჯილდოვა. ეს ბლალობინმა

იწყინა, ათასნაირ შარებს მდებს და ოც ჩინს მიწერს კლიროვში. ჩინის ჩაწერას არ დავეძებ, მცონის კელარავინ წამართვის, მაგრამ იმავე კლიროვში მთლიათ გამიფუჭა ყოფა-ქცევა და სხვეფაც მომჯეაყა. აგრე 50 წელიწადი გამოსრულდება სამსახურში ვარ, ათი მეტი ბლალობინი გადავიცვალე, უკელი იმათვან აცხოვნოსთ ღმერთმ, და იხლანდელისაგანაც ყოველთვის „ოტლინი და ოჩენ ხოროში“ ვიწერებოდი, რომ იმ ჩინს არ დაველუხე!!

აი ასე დაჩაგრული, ასე სათამაშოთ გამხდარი არის სოფლის სამლელოება და ვის რათ უნდა უკვირდეს, რომ მან ვერაფერი საკუთლო საქმის გავეთვის უნარი გამოიჩინოს. მეუფროსის პატიოსნებას, უანგარობას და სამართლიანობას დიდი გავლენა აქვს მისი ხელქვერთი თანამდებობის პირის მოქმედებაზე.

სოფლის ხუცესი.

## რას გვწერენ?

სოც. კორბოლი (ზემო იმერეთი).

ნოემბრის 11 რიცხვი სამართლის სანახ-სოფრო დარჩება ს. კორბოლის მცხოვრებთა-თვეის: ამ დღეს საბოლოოდ დასრულდა ამ სოფელში წერილი კრედიტის დაარსების საქმე, რომელიც ითავა ადგილობრივა მღვდელმა მ. კლადიმერ მაჭარაშვილმა. წერილი კრედიტის გამგეობის და სარევიზიო წევრთა ასარჩევად და პირველ ოპერაციის დაწყების გამოსაცხა-დებლიდ აქ მობრძანდა წვ. კრედიტის ინსპექტორი თავიდი ზაქარია პლატონის ძე მიქელა-ძე, რომელმაც მოახდინა ამ დღეს დამფუძნე-ბელ წევრთა კრება. გამგეობის თავმჯდომა-რეთ და საქმის მწარმოებლიდ ერთხმად თირჩი-ებს მღვ. კლად. მაჭარაშვილი, პირველი მოთა-ვე ამ საქმის; ივრეთვე გამგეობის წევრებათ აჩეულ იქმნენ: მასწავლებელი ლივრენტი ხარ-შილოძე და პლატონ კვიფინაძე, ხოლო მათ კინდიდატებათ გრიგოლ მაჭარაშვილი და ფერ-

შალი პარამონ კუპავა. სარევიზიო საგვას მწევრებათ არჩეულ იქმნენ: მღვ. ს. მაჭარა-შვილი, ლომენტი მაჭარაშვილი და პლატონ ტაბატაძე; მათ კანტიდატებათ კი—მსხვ ტა-ბატაძე და იასონ და იორამ მაჭარაშვილები. გრძელვადიან ძირითად თანხად მივიღეთ 2500 მანეთი, ხოლო მოკლე ვაღიან სესხად 4000 მან. საქმის ყოველივე ბლანკები და უურნალე-ბი ჩაიბარა გამგეობამ და შეუდგა უკვე სესხის გაცემას. პირველი სესხი 2500 მან. გაიცა 26 ნოემბრის; მეორე კი 3000 მან. ამ მოკლე ხანში დაურიგდება მსურველებს. დანარჩენი 1000 მანეთი გამგეობას იანგრისათვის აქვს გა-დადებული. თუკის კასა გამოწერილია მოსკო-ვიდან და ამ მოკლე ხანში მოელიან.

აუწერელია ხალხის სიხარული ამ ამბის გამო. მოწინააღმდეგები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდენ ამ ამხანაგობის დაარსების წინააღმდეგ, სადღაც მიიმაღენ და სდომიან. ეს პირველი ამხანაგობაა საჩხერის მხარეში. დაბა საჩხერის მცხოვრებთ ზოგიერთმა პირებმა სთხოვეს მღვდ. კლად. მაჭარაშვილს, რომ ხელ-მძღვანელობა გაუწიოს მათ ამისთანა ამხანაგო-ბის დაარსებაში. რაზედაც მამა მაჭარაშვილმა დიდი დახმარება აღუთქვა.

მოკეთე.

8 1 6 0 6 1 4 0 8 1

მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო

საზოგადო-ეკონომიკურ უურნალ

წელიწადი კოოპერაციაზე მეორე

რედაქტორი, მღვდელი ს. მარტინი  
გამომუშებელი იოსებ ლევაზავა.